“ეკონომიკური პროფილი”, #4, 2008, მაისი

აკაკი ბაკურაძე

სამართლებრივ ანალიზში ზოგიერთი სტრუქტურული საშუალოს გამოყენების საკითხისათვის

სოციალური მოვლენების (მათ შორის, დანაშაულის) მართვის, ანალიზისა და პროგნოზირების პროცესში ფართოდ გამოიყენება ისეთი განზოგადოებული მაჩვენებლები როგორიცაა: აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეები. შესასწავლი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის, ან პროცესის ყოველმხრივი დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ სამივე სიდიდის ერთობლივი გამოყენებით, სადაც თითოეულს გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა და კვლევის ცალკეულ ეტაპზე განსაზღვრულ ადგილს იჭერს.

ამ სიდიდეთა შორის განსაკუთრებული პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა საშუალო სიდიდეებმა. საშუალო სიდიდე განაზოგადოებს ერთობლიობის ერთეულთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებებს და წარმოადგენს მათ საერთო რიცხვით მნიშვნელობაში, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული ერთეულისათვის არა კონკრეტულად, არამედ საერთოდ, აბსტრაქტულად.

სამართლებრივ-სტატისტიკურ ანალიზში საშუალო სიდიდის სწორი გაანგარიშება განსაზვრავს მისი გამოყენების ეფექტიანობას და იძლევა საშუალებას ერთ ერთეულზე, ან კერძო შემთხვევაზე გამოვლინდეს პროცესის განვითარების ტენდენციური სურათი. იგი ახასიათებს მოვლენის ტიპიურ დონეს, გვიჩვენებს ერთ ერთეულზე განაწილებული ნიშნის რიცხვით მნიშვნელობას და ასახავს იმ საერთოს, რომელიც ყალიბდება ცალკეულ ერთეულში დროისა და სივრცის განსაზღვრულ პირობებში. შესაბამისად, მისი ამ თავისებურების გამო ფართოდ გამოიყენება კიდეც სხვადასხვა ანალიზში. მის გამოთვლამდე აუცილებელია მოვახდინოთ დაჯგუფება და გამოვყოთ ტიპიური ჯგუფები. შესაბამისად, თუ საშუალოს გავიანგარიშებთ მთლიანი ერთობლიობისათვის გვექნება საერთო საშუალო,

ხოლო თუ ცალკეული ჯგუფებისათვის - ჯგუფური საშუალო. სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია მისი ორი სახე: ხარისხობრივი და სტრუქტურული.

ერთობლიობის შემადგენლობის დახასიათებისათვის ხშირად იყენებენ სტრუქტურულ საშუალოებს - მოდას, მედიანს და სხვა სტრუქტურულ საშუალოებს (კვარტილი, დეცილი და პერცენტილი).

მოდას - Mo უწოდებენ მწკრივში ყველაზე გავრცელებულ ვარიანტის მნიშვნელობას, ანუ რომელსაც ყველაზე მეტი სიხშირე გააჩნია. მოდა მთლიანი ერთობლიობის ტიპიურ შინაარსს გადმოსცემს და, ამის გამოც, გამოყენება აქვს ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ანალიზში. მოდის მნიშვნელობას გამოთვლიან ფორმულით:

$$Mo = x_{Mo} + h_{Mo}\frac{f_{Mo} - f_{Mo-1}}{(f_{Mo} - f_{Mo-1}) + (f_{Mo} - f_{Mo+1})}$$

სადაც, x_{Mo}-მოდალური ინტერვალის ქვედა საზღვრის მნიშვნელობაა, h_{Mo} -მოდალური ინტერვალის სიდიდე, f_{Mo} –მოდალური ინტერვალის სიხშირე, f_{Mo-1}-მოდალური ინტერვალის წინა ინტერვალის სიხშირეა, f_{Mo+1}-მოდალური ინტერვალის მომდევნო ინტერვალის სიხშირე.

განვიხილოთ მაგალითი ცხრილის საფუძველზე, საიდანაც ჩანს, რომ მოდა მდებარეობს 30-49 ასაკობრივ ჯგუფში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჯგუფის ინტერვალის საზღვრები საანალიზოდ ძალზედ დიდია და მაღალ სიზუსტესთან არ გვექნება საქმე, თუმცა გარკვეულ შედეგების მიღება ნამდვილად შეიძლება.

ჩვენს შემთხვევაში:

$$Mo = 30 + 19\frac{3718 - 1621}{(3718 - 1621) + (3718 - 938)} = 30 + 19\frac{2097}{4877} \approx 38\text{ წ}$$

მსჯავრდებულთა შემადგენლობა 2005 წ. (კაცი)

მსჯავრდებულთა ასაკი, წელი	მსჯავრდებულთა რაოდენობა, კაცი
14-17	475
18-24	2416
25-29	1621
30-49	3718
50-65	938

წყარო: წწწ.პოლიცე.გე; წწწ.სტატისტიცს.გე

მედიანა- Me ვარიაციულ მწკრივს ორ ნაწილად ყოფს, სადაც ერთ ნაწილს გააჩნია მედიანის მნიშვნელობაზე ნაკლები, ხოლო მეორეს - მეტი. ჩვეულებრივ Me - Mo-სთან ყველაზე ახლოს მდგარი წევრია.

ინტერვალური მწკრივისათვის მედიანის მნიშვნელობას გამოთვლიან ფორმულით:

$$Me = x_{Me} + h_{Me} \frac{\frac{\sum f}{2} - \sum S_{Me-1}}{f_{Me}}$$

სადაც, x_{Me}- მედიანური ინტერვალის ქვედა საზღვარია, h_{Me}- მედიანური ინტერვალის სიდიდეა, $\sum f$ - ყველა სიხშირეების ჯამია, $\sum f_{Me-1}$-მედიანურ ინტერვალამდე სიხშირეების ჯამი, f_{Me}-მედიანური ინტერვალის სიხშირეა8

ჩვენი მაგალითისათვის, Me მდებარეობს 19-24 წწ. ინტერვალში, ხოლო მისი მნიშვნელობა იქნება:

$$Me = 18 + 6 \frac{\frac{475 + 2416 + 1621 + 3718 + 938}{2} - 475}{2416} \approx 28 \text{ წ.}$$

ამ შემთხვავაში Me აღმოჩნდა ამ ინტერვალის გარეთ და მოხვდა 25-29 ინტერვალიში, რაც პრინციპში მოსალოდნელი იყო კიდეც, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის ინტერვალის სიხშირეც საკმაოდ მაღალი იყო.

მაშასადამე, 2005 წლის მონაცემებით ყველაზე მეტ დანაშაულს ჩადიოდნენ, სავარაუდოდ, 38 წლის ასაკში, ხოლო შემდეგ - 28 წლის ასაკში. ანალიზის ეს შედეგები უფრო ზუსტი იქნება (რომ არა ძალზედ დიდი ასაკობრივი ინტერვალით მონაცემთა წარმოდგენა) და იგი გამოადგება სახელმწიფო მმართვისა და სამართალდამცავ ორგანოებს, ზოგადად, სოციალური მოვლენების და, კერძოდ, დანაშაულობის მართვისათვის.

Акакий Бакурадзе

К вопросу о применении некоторых структурных средних в правовом анализе

Р е з ю м е

В процессе анализа, правления и прогнозирования социальных явлений (в том числе и преступлений) широко используются такие обобщенные показатели, как

абсолютные, относительные и *средние величины.* Среди них особую практическую значимость приобрели средние величины.

Правильность вычисления средней величины в правовом статистическом анализе определяет эффективность ее применения и дает возможность выявить динамику, тенденцию развития процесса в частных, единичных случаях. Чтобы охарактеризовать общий состав часто употребляются структурные средние – мода, медиана и др.

Для нас особый интерес представили показатели, которые могли помочь определить количество осужденных в Грузии по отдельным возрастным категориям. Источником информации послужили данные 2005 года. В результате проведенных нами исследований выяснилось, что наибольшее количество преступлений совершалось приблизительно в возрасте 38 лет, затем – 28 лет. Представленные нами итоги анализа будут более точными (если данные не будут охватывать столь широкий возрастной интервал) и могут быть использованы в правлении государства и в делах правоохранительных органов для регулирования социальных явлений, в частности, преступлений.

Akaki Bakuradze

The Usage of Average Structural Values in Legal Analysis Abstract

R e s u m e

In the process of handling, analyzing and predicting social phenomenon (ex. crime) the generalized indices like absolute, relative and average values are broadly used. The average values have gained relatively more practical use.

In legal-statistic analysis the proper calculation of the average value determines its further effective use and provides to identify the tendency of the development process in a particular or isolated case. To characterize the whole composition several average structural values are often used _ fashion, median and etc.

The data characterizing convicts according to different age groups in Georgia is of special interest. The results of 2005 year were taken as the source of information database. The carried calculations showed that the rate of committed crimes reached the highest level at the age of 38, followed by 28. The results of the analysis will be more precise (if not a big age interval when presenting the data) and they can be used in governmental institutions and law machinery for regulating social phenomenon, namely, the crime.

ბადრი გეჩბაია

სოფლის მეურნეობის მართვის ეფექტიანობის ამაღლება ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების პირობებში

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების თხუთმეტწლიან პერიოდს თან სდევდა დარგის დაჩქარებული, უმეტესწილად ეკონომიკურად, იურიდიულად და ორგანიზაციულად არაუზრუნველყოფილი რეფორმირება, ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი გახდა დადებითი შედეგების მიღწევა. აგრარული ეკონომიკის აქტიური რეგულირების სფეროდან სახელმწიფოს გასვლამ მისი მხრიდან სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის გასაწევი მხარდაჭერის მკვეთრმა დაცემამ, მათი მძიმე ფინანსური მდგომარეობისა და სოფლად რთული სოციალური სიტუაციის შექმნა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მართვის თანამედროვე სისტემის გამოყენებას, მეცნიერების, უახლესი რეკომენდაციების საფუძველზე და მართვის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

ქვეყნის აგრარულ სექტორში საინოვაციო – საინვესტიციო მენეჯმენტის ფორმირებასთან დაკავშირებული მართვის პრობლემების გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ინოვაციური პროცესები, რომლებიც თავისთავად ინოვაციურ ცვლილებათა მომზადებასა და განხორციელებას წარმოადგენს, ურთიერთკავშირში მყოფი ფაზებისაგან ყალიბდებიან, რომლებიც ერთიან, კომპლექსურ მთლიანობას ქმნიან, რაც ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

წარმოებაში სამეცნიერო მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილებების შეღწევის მრავალი მეთოდი და მიმართულება არსებობს. საბაზრო მიმართულებას უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტ-ხელმძღვანელი კადრებისა და მასობრივ პროფესიათა მუშაკების მომზადება წარმოადგენს.

სიახლეთა დანერგვა – სამეცნიერო – ტექნიკური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილია ნებისმიერ დარგში, აგრარულ სექტორში კი განსაკუთრებით. საბაზრო ურიერთობები დაჟინებით მოითხოვს დანერგვის სფეროს არსებით განვითარებას, რომელიც დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

ინოვაციური პოლიტიკის შედეგად, აგრარულ სექტორში სამეცნიერო მიღწევათა საფუძველზე წარმოების არსებითი მოდერნიზაცია მიმდინარეობს, ეს პროცესი კი ობიექტურია და მუდმივი. ინოვაციური პროცესის ობიექტური ხასიათი იმაში ვლინდება, რომ ნორმალურ პირობებში შეუძლებელია მისი გაჩერება ან თუნდაც შეჩერება. ამასთან, სრულყოფილად უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც წარმოების ინტენსიფიკაციითა და ინდუსტრიალიზაციით, მისი ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებითაა დაინტერესებული.

წარმოების რეფორმირებამ, შოკურმა თერაპიამ საფიანსო-ეკონომიკურ სფეროში, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, საწარმოთა დაშლის საფრთხემ ყველა დონის მუშაკში შეარყია ხვალინდელი დღის რწმენა, რამაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობა შეუქმნა გეგმაზომიერ ინოვაციურ მოღვაწეობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ინოვაციური აქტიურობის დაცემის ეკონომიკური მიზეზებიც. სასოფლო – სამეურნეო საქონლის მწარმოებლები, რომლებიც ადრე არ გამოირჩეოდნენ სიახლეების მიმართ მაღალი აქტიურობით, არც ახალ პირობებში არიან დაინტერესებულნი წარმოების გადარჩენის, და სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მართვის სისტემის განვითარების ევოლუცია, თანამედროვე გაგებით, ხელისუფლებისა და მისი სტრუქტურების ფუნქციონალური მოწესრიგებით იწყებოდა. მოღვაწეობის განსაკუთრებულ სახეობად მისი გამოყოფის წინაპირობები საზოგადოებრივი წარმოების სფეროში შრომის კოოპერაციის უბრალოდან რთულ ფორმაზე გადასვლისას წარმოიქმნენ. შრომის დანაწილების, სპეციალიზაციის გაღრმავების, სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის განვითარების მიხედვით მართვა რთულ ფორმებს იძენდა, ცალკევდებოდა იერარქიულად ორგანიზებულ სისტემებად, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მსხვილი სპეციალიზებული საწარმოს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციონირების ეფექტურობა.[1]

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ეკონომიკის სხვა დარგების მაღალეფექტურად ფუნქციონირება მხოლოდ მართვისადმი სამეცნიერო მიდგომის პირობებშია შესაძლებელი. მართვის სამეცნიერო საფუძვლებში შედის თეორია, მეთოდოლოგია და კონკრეტული ცოდნა მართვის სიტემის ურთიერთდაკავშირებული ელემენტების შესახებ – მართვის პრინციპები, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, ინფორმაცია, სტრუქტურა, კადრები, პროცესები, მეთოდები, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები.

მართვის სისტემა ზემოთ მითითებული ელემენტების კონკრეტულ ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთთან ხარისხობრივ და რაოდენობრივ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, და გარკვეულ მთლიანობასა და ერთიანობას ქმნიან.

სოფლის მეურნეობის მართვა ურთულეს სისტემებს განეკუთვნება. მისი წარმატებული ფორმირება, ფუნქციონირება და განვითარება ვერ განხორციელდება როგორც სისტემური მიდგომის საერთო წესების დაცვის გარეშე, ასევე მართვის სისტემაში დასახული სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული მიზნების რაციონალურად მიღწევის უზრუნველმყოფი პრინციპების დაცვის გარეშე. ამასთანავე სამმართველო მოღვაწეობა მიზანმიმართულია და გარკვეული საწარმოო შედეგების მიღწევისკენაა მოწოდებული.

ხელმძღვანელობის ამოცანას სოფლის მეურნეობის მართვის თანამედროვე ობიექტებზე, მისი ფუნქციების სტრატეგიულ და ტაქტიკურ (ოპერატიულ) დონეებზე, მათი სწორად გადანაწილება წარმოადგენს. სტრატეგიულ დონეზე ხდება რეაქციის გამომუშავება გარე სამყაროში მიმდინარე გლობალურ ცვლილებებზე, მიმდინარეობს ობიექტის მოღვაწეობის მიზნის კორექტირება შესასრულებელი ამოცანის შესაბამისად, შეირჩევა კორპორაციული სტრატეგია, მზადდება სისტემა, სტრუქტურა და მართვის კულტურა სტრატეგიის რეალიზებისათვის. სტრატეგიაში შედის მიზნობრივ

[1] Куликов И. А. Управление сельским хозяйством в условиях формирования инновационного менеджмента. М. 2004

მითითებათა კრებული აგრარული სექტორის დარგების საწარმოთა ინოვაციისათვის. ამასთანავე ხდება მართვის სუბიექტის ადაპტაცია საბაზრო და ინოვაციური დიფერენციაციის ცვლილებებთან, ყალიბდება მიზნობრივი მითითებები შესაბამისი ფუნქციებისათვის. ტაქტიკურ (ოპერატიულ) დონეზე სეგმენტების: "პროდუქტი", "ბაზარი" და ა.შ. ნაკრებთან დაკავშირებული მიზნობრივი მითითებების ფარგლებში ხდება სამეურნეო ოპერაციათა დაწვრილებითი გეგმის შედგენა, საწარმოს დარგობრივ ქვედანაყოფებთან მიმართებაში.

კოლექტივის მოღვაწეობის წარმატება ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციაზე, პატიოსნებასა და ორგანიზატორულ უნარზეა დამოკიდებული. ამიტომ კადრების სწორი შერჩევისა და მომზადების პრინციპი მმართველი ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს და ორაგანულად ეთავსებოდეს მართვის ორგანიზების სხვა პრინციპებსაც. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ:

- სამართლებრივ გარანტირებულობას, კანონიერების დაცვას სოფლის მეურნეობის მართვაში;

- სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებას, შესაბამისი საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების, მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე;

- ეკონომიკური და სოციალური პრობლემების აღრიცხვასა და შეხამებას გადაწყვეტილებებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ.

მართვის აღნიშნული პრინციპები ძირითადად მართვის სისტემებსა და ქვესისტემებს ახასიათებთ. ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მართვის საორგანიზაციო სტრუქტურა შესაძლებელია ეფექტურად ვითარდებოდეს სამეურნეო-ეკონომიკური მართვის სპეციფიკური პრინციპების დაცვის გათვალისწინებით:

- კერძო მესაკუთრის, მესაკუთრეთა კოლექტივის, სოფლის მეურნეობის საწარმოების (გაერთიანებების) კოლექტივების ინტერესების პრიორიტეტებს;

- საწარმოთა თანასწორობას საბაზრო ურთიერთობათა სფეროებსა და პარტნიორულ ურთიერთობებში;

- კვალიფიციური მმართველი კადრების არსებობას;

სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის პროცესში დაცული უნდა იქნეს სამეცნიერო მართვის, სისტემური მიდგომის ცნობილი პრინციპები.

სამმართველო მოღვაწეობის კანონმდებლობის, პრინციპების, მეთოდების ცოდნა ადამიანების ერთობლივი მოღვაწეობისა და გადაწყვეტილებების გარკვეული მიზნების მისაღწევად გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, ეფექტური მართვისათვის მხოლოდ თეორიის ცოდნა არ არის საკმარისი. ამიტომაც თეორიასთან ერთად გამოცდილებაცა და პრაქტიკაცაა აუცილებელი სოფლის მეურნეობის მართვის ხელოვნების დასაუფლებლად.

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფა მართვის არსებული სისტემის მეცნიერულად დასაბუთებული გაუმჯობესების (ხარისხის ამაღლების) გეგმაზომიერ პროცესს წარმოადგენს, მართვის თეორიის საერთო პრინციპების გათვალისწიონებით, სისტემური, მიზნობრივი

და და სხვა მეთოდოლოგიური მიდგომების დაცვით, სოფლის მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების ობიექტური მოთხოვნებიდან გამომდინარე.

Бадри Гечбая

Повышение эффективности управления сельским хозяйством в условиях формирования инновационной политики

Совершенствование системы управления сельским хозяйством представляет постоянный и планомерный процесс улучшения (повышения качества) существующей системы управления , с учетом общих принципов теории управления, с соблюдением системного, целевого, и других методологических подходов, исходя из обьективных потребностей еффективного функционирования и дальнейшего развития сельского хозяйства.

Знание закономерностей, принципов, методов управленческой деятельности помогает лучше организовать совместную деятельность людей, использовать управленческие решения для достижения определенных целей, избегать ненужных ошибок. Вместе с тем, на практике знание только теории явно недостаточно для еффективного управления. Поэтому, наряду с теорией, познание опыта и практики является необходимым условием овладения искусством управлять сельским хозяйством на всех уровнях.

Badri Gechbaia

Increasing of Agricultural Management Efficiency under the Development of Innovative Policy

Perfection of agricultural management system is the permanent and systematic process of improvement (quality rising) of the existing management system, taking into consideration the common principles of approach that are based on the impartial details of effective functioning and further development of agriculture.

Knowing the managing activity regularities, principles and methods promote to organize team-work of labor forces, to use the administrative decisions in order to achieve the certain goals and to avoid unnecessary mistakes. Moreover, the practice has shown that the knowledge only of the theory is not evidently enough for the management efficiency. Therefore, experience and practical knowledge, as well as the theory, are the essential conditions to acquire the mastery of agriculture management at all levels.

ბადრი გეჩბაია – საფინანსო – საბანკო ინსტიტუტის მასწავლებელი, ბათუმის სახელმწიფო მრავალდარგოვანი კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

ქ. ბათუმი, ერას ქ №91 ქ. № 119. ტელ: 7-07-69, მობ: 893. 722115

E.mail badrikaci@rambler.ru

gechbaia@rambler.ru

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ

როგორც განვლილი ათწლეულის ისტორიული პროცესი გვიჩვენებს, ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით ჯერ კიდევ გეოპოლიტიკური ხედვის ინერციით არის ნაკარნახევი. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს აზიისკენ უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გახსნისათვის ერთადერთ ნიშას. ბოლო დროის მოვლენებმა და კერძოდ ისლამური სამყაროს რადიკალური ნაწილთან დასავლეთის და განსაკუთრებით აშშ-ს დაპირისპირებამ შესაძლებელია ახალ ხარისხში აიყვანოს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის ჩვენი რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის საკითხიც. ახალი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ნატოში წევრად მიღება შესაძლებელია სრულიად რეალურ ალტერნატივად მოგვევლინოს, რაც თავისთავად დადებითად იმოქმედებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივაზე.

საქართველო ორი უდიდესი ძალის დაპირისპირებული ინტერესების არეალში მოექცა. ევროკავშირის და საერთოდ ცივილიზებული სამყაროს ამოსავალ წერტილს მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენს. სასწორის გადაწონვა რომელიმე მხარეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მტკიცე ნებაზე. ევროპისა და კერძოდ ევროკავშირის გაერთიანება სრულ ჰარმონიაშია მსოფლიო პროცესების ევოლუციასთან. ევროკავშირთან ინტეგრაცია გარდაუვალია. მაგრამ თუკი ჩვენ გვინდა დავაჩქაროთ ეს პროცესი, მაშინ საჭიროა დინების მიმართულებით ცურვა. ეს კი გულისხმობს ისეთი რეფორმების გატარებას, რომელიც საზოგადოებას დაახლოებს ევროპასთან, ანუ იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომლებიც ევროკავშირს კანდიდატი სახელმწიფოებისთვის აქვს წაყენებული. (კრიტერიუმები მიღებული იქნა კოპენჰაგენში 1993 წელს და ეწოდება "კოპენჰაგენის კრიტერიუმები"). არსებობს აგრეთვე ე.წ. ლისაბონის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი ცდილობს 2010 წლამდე შეცვალოს ევროპის ეკონომიკა და უფრო მეტად მოხდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დანერგვა. კონკრეტულად საუბარია კრიტერიუმების ორ მთავარ ჯგუფზე, რომელთა შესრულებაც აუცილებელია კანდიდატი ქვეყნებისთვის. ეს კრიტერიუმები მოლაპარაკების ეტაპზე, ანუ გაწევრიანებამდე უნდა შესრულდეს. საქართველო არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართული ქვეყანა. საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები მოიცავს აღნიშნულ კრიტერიუმებსაც. ესენია: ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და ევროგაერთიანების ეკონომიკურ სივრცეში კონკურენციის შესაძლებლობა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთ ინსტრუმენტის შექმნას საფუძველი ჩაეყარა 2002 წელს. მომდევნო წელს ევროკომისიამ წარმოადგინა თავისი რეკომენდაცია "გაფართოებული ევროპა – მეზობლობა: ახალი სტრუქტურა ჩვენს აღმოსავლეთით და სამხრეთით განლაგებულ მეზობლებთან ურთიერთობისთვის". ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია მეზობელი ქვეყნებისთვის ევროკავშირის 2004 წლის გაფართოებით მოტანილი სარგებლობის გაზიარება – მათი სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის გაზრდა. ამ პოლიტიკის დანიშნულებაა თავიდან აგვაცილოს გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი საზღვრების წარმოქმნა და შესთავაზოს მეზობელ ქვეყნებს შესაძლებლობა პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკის და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის გაფართოებთან დაკავშირებით. ევროპის პოლიტიკის კვლევის ცენტრი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს კონკრეტული დიფერენციაცია "ფართო ევროპისა" და "სამეზობლოს" ერთმანეთისგან გამიჯვნით. ფართო ევროპა უნდა მოიცავდეს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შედიან ევროსაბჭოში და არიან ჭეშმარიტად ევროპული სახელმწიფოები. ხოლო ტერმინი "სამეზობლო" უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ აფრიკული სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ევროკავშირს სამხრეთით ესაზღვრებიან და ევროკავშირში გაერთიანების შანსი არა აქვთ.

2004 წლის 14 ივნისს მოხდა სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ჩართვა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში". 2005 წლის მარტში ევროკომისიამ წარმოადგინა ანგარიშები აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს შესახებ, სადაც რეკომენდაცია გაუწია მოლაპარაკებების დაწყებას ამ ქვეყნებისათვის სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით. 2006 წლის ოქტობერში ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის ბიუჯეტი, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობების გაღრმავებას შემდეგ ქვეყნებთან: ალჟირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ეგვიპტე, საქართველო, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, რუსეთი, სირია, ტუნისი და უკრაინა.

2007-2013 წლებისთვის ევროკავშირის დახმარების ძირითადი მიზანია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს და ევროკავშირს შორის მზარდი პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით და საქრთველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების საფუძველზე. ENPI-ის ფარგლებში 2007-2010 წლების ეროვნული ინდიკატური პროგრამით, საქართველოსათვის გათვალისწინებულია 120,8 მლნ. ევროს გამოყოფა. ევროპულ სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში დასახულია პრიორიტეტები, რომელთაგან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონული თანამშრომლობის სფეროში დასახული ამოცანები. აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ კონკრეტული ღონისძიებები უნდ გატარდეს შავი ზღის რეგიონში, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით, თანამშრომლობის ინიციატივების სტიმულირებისთვის, რომლებიც მოიცავს მაგალითად გარემოს დაცვის, განათლების, საზღვრების მართვის, ტრანსპორტის და საპარლამენტო სფეროებს.

ერთი მხრივ მონაპოვარია, რომ შავი ზღვის რეგიონი მოიხსენიება სამხრეთ კავკასიის ჩათვლით, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში და ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა ალჟირი, მაროკო, ტუნისი და ა.შ. თუმცა აქვეა ისეთი სუფთა ევროპული ქვეყნებიც, როგორებიცაა მოლდოვა და უკრაინა.

მოლდოვასა და უკრაინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ ევროკავშირში გაწევრიანებაა. საქართველომ სწორედ ამ ორ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა მოახერხოს ევროკავშირისკენ მიმავალი გზების აღმოჩენა. შავი ზღვის აუზის ყველა სხვა ქვეყანა ევროკავშირის ან წევრია, ან წევრობის კანდიდატი, ან პოტენციური კანდიდატია. რუმინეთი და ბულგარეთი 2007 წელს გახდნენ ევროკავშირის წევრები, თურქეთი 2012 წელს უნდა გახდეს. უახლოეს პერიოდში საქართველომ მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად უნდა მოახდინოს ქვეყნის რედეფინიცია შავი ზღვის გარშემო ევროპის ნაწილად და არა მეზობლის სტატუსით. ეს შეიძლება მოხდეს BშEჩ-ის (Bლაცკ შეა Eცონომიც ჩოოპერატიონ) ფარგლებში. შედეგად მივიღებთ შავი ზღვის გარშემო პროევროპული განწყობის მქონე ქვეყნების სარტყელს. თუკი თურქეთიც შეძლებს ევროკავშირში გაწევრიანებას 2012 წელს, ევროკავშირს მოტივაცია ექნება თავის რიგებში მიიღოს დანარჩენი შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებიც და ამით შავი ზღვა გადააქციოს თავის შიდა წყლად.

ჩვენი აზრით საქართველო უნდა დაადგეს თურქეთთან პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაახლოების გზას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რათა 2012 წლისთვის ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება შეუქცევადი ხასიათის იყოს.

საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროპული იდენტურობის მტკიცება. ხაზი უნდა გაესვას საქართველოს არა მარტო ისტორიისა და კულტურის ევროპულობას, არამედ პოლიტიკური კულტურის ევროპულ ხასიათსაც.

რედეფინიციის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანა ახდენს იმ რეგიონიდან გამოსვლას, რომელიც უარყოფით ასოციაციას იწვევს. "ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა', ეს არის ის იარლიყი, რომელიც ასოცირდებოდა გარდამავალ ეკონომიკასთან, ავტორიტარულ რეჟიმთან, კლანური ინტერესების დომინირებასთან, კორუფციის მაღალ დონესთან და ეთნიკურ ნაციონალიზმთან. ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირში ბოლო წლების განმავლობაში მოიაზრებოდნენ, როგორც "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის" ქვეყნები, მაშინ როდესაც უკრაინა და მოლდოვა ისევ "პოსტ-საბჭოურ ქვეყნებად" რჩებიან.

ანალოგიური შემთხვევა იყო სლოვენიასთან დაკავშირებითაც. ქვეყანა, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ნაწილს წარმოადგენდა, დღეს ევროკავშირში შედის მიუხედავად იმისა, რომ სლოვენიას და ხორვატიას შორის დღესდღეობით არც ისე დიდი განსხვავებაა ეკონომიკური დონის მიხედვით, ხორვატიამ ვერ მოახერხა იმ პოლიტიკის წარმატებით გაგრძელება, რომელიც სლოვენიამ 1990-იან წლებში განახორციელა. მსგავსი პოლიტიკის განხორციელებას შეიძლება კარგი შედეგები მოჰყვეს საქართველოსთვისაც, რადგან დღეს ცალკე კავკასია იწვევს კორუფციის, ეთნიკური კონფლიქტების, ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის და დაუძლეველი სიღარიბის ასოციაციას. იმის მიუხედავად, მოახერხებს თუ არა საქართველო ამ პრობლემების დაძლევას, კავკასიურ პრობლემებთან ასოციაციის გამო, ევროპელთა მენტალიტეტში საქართველო მუდამ დარჩება იმ რეგიონის წარმომადგენლად, სადაც მძევლები აჰყავთ ჩეჩენ ტერორისტებს და ერთმანეთს ებრძვიან ეთნიკურ ნიადაგზე. აფრიკული სახელმწიფოების გვერდით მოხსენიება კი კიდევ უფრო გააძლიერებს ამ ნეგატიურ ასოციაციებს.

მეორეს მხრივ საქართველო შეიძლება წააწყდეს საკმაო წინააღმდეგობას იმ ქვეყნების მხრიდან, ვისთან დაახლოებასაც მოიწადინებს. რც თურქეთი და მითუმეტეს არც მოლდოვა, რუმინეთი თუ ბულგარეთი არ მოისურვებენ ზედმეტ ტვირთად ზიდონ ისეთი ქვეყანა, რომელიც თავს ვერ ართმევს ელემენტარულ ეკონომიკურ პრობლემებს, გააჩნია ორი მოუგვარებელი კონფლიქტი, ვერ ახერხებს საზღვრების დაცვას, კორუფციასთან ეფექტურ ბრძოლას და სიღარიბის ზღვარზე ჰყავს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ყოველივე ამის გათვალისწინებით სტრატეგიულმა პარტნიორებმა უნდა დაინახონ, რომ საქართველოსთან სიახლოვე მათთვის პრობლემების შემქმნელი კი არა – მოგების მომტანი იქნება.

Резюме

Стратегическая политика Европейсского Совета направлена не на то, чтобы развивались относительно отсталые страны, а на то, чтобы достичь равновесия между европейскими регионами. Одновременно возрастается роль регионов в общих политичеслих процессах. Согласно старой геополитической стратегии Кавказский регион представлялся единственным закрытым пространством хартленда и служил кратчайшим торговым коридором к средней и юго-восточной Азии, где расположены богатейшие рынки. В Кавказком регионе главной задачей остаётся поддерживать экономические реформи. Двухсторонные и многосторонные межправительственные соглашения в рамках проэктов TRACECA и INOGATE служат осуществлению этой цели. Европейский Совет уделяет большое внимание обеспечению транспртировки энергонасителей от Каспийского моря до Европы.

Грузия оказалась между двумя огромнейшими противостоящими силами. Для Европейсского союза и для цивилизационного мира в целом главным приоротетом остаётся сохранения мира и стабильности. Развитие Европы, особенно Европейсского Союза состоит в полной гармонии с эволюционными процессами в мире. Интеграция с Европейсским Советом является необратимим процесом.

У Грузии имеются несколько альтернативных путей развития:

1. Развивать отношения с Европейским Советом в составе Южного Кавказского региона.
2. Поставить вопрос перед ЕС о необходимости индивидуальной стратегии к отношений Грузии.
3. Редефиниция Грузии как страны принадлежащей региону Черного моря и исходя с этого рссматривать перспективы интеграции.

Summary

The structural policy of European Union is directed not to increase the level of separate, comparative backword countries, but to achieve the balance among the concrete European regions. Simultaneously it is increasing region`s role in common political processes. According to old geopolitical conception Caucasus region presents the only place of close

Hartland space and serves as the shorterst trade itinerary to middle and south-east rich Asiatic markets. Process of supporting economic reforms and inculcation international trade rules are main targets in this region. Bilateral and many-sided intergovernmental agreements in frames of projects TRACECA and INOGATE serves to this aim. Eoropean Union pays great attention to guaranteeing transportation of energetic power carries from Caspean Sea to Europe.

Georgia has several alternative ways. These are:

1. To try relations with European Union in frames of South Caucasus region.
2. To assure European Union in necessity of individual strategic aproache with Georgia.
3. Georgia`s redefinition as Black sea region country and to think about integration perspectives.

This third way probably will real successful way. On the other hand this is quite difficult and risky target. Georgia must in cooperation with Moldavia and the Ukraine find the ways to European Union.

The solution of this problem indicates to attain new knowledge about economic integration of Georgia and Black Sea region countries, to develop particular conclusions of gradual implementation of integration processes and adopting the particular polices.

Tsitsino Dzotsenidze

გიორგი ღავთაძე *– აწსუ ეკონომიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი; ქსეუ სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი*

აზა იფშირაძე *– აწსუ ეკონომიკის დეპარტამენტის მასწავლებელი*

ინვესტიციური პოლიტიკა, მისი როლი და შემუშავების პრინციპები თანამედროვე პირობებში

ინვესტიციური პოლიტიკა, ისევე როგორც ფინანსური პოლიტიკა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მეურნე სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი. სხელმწიფოს ინვესტიციური პოლიტიკის ქვეშ გაიგება მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა ყველა მეურნე სუბიექტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლების, ეკონომიკური აღმავლობის, წარმოების ეფექტურობის ამაღლების და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის.

ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად მიზანს ინვესტიციური პოტენციალის გააქტიურებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა წარმოადგენს, რომლის ძირითად მიმართულებებად გამოდიან ღონისძიებები, დაკავშირებული სამამულო თუ უცხოური ინვესტორების საქმიანობისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასთან. აღნიშნული, თავის მხრივ, შემოსავლიანობის გადიდებისა და რისკების მინიმიზაციისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური განვითარების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნებიდან გამომდინარეობს.

ივესტიციური პოლიტიკის განხორციელების შედეგები ეკონომიკის განვითარებაში ჩართული ინვესტიციური რესურსების მოცულობების მიხედვით ფასდება. შახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს ინვესტიციურ აქტივობაზე საამორტიზაციო პოლიტიკის, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის დახმარებით, უცხოური ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებით და ა.შ.

სახელმწიფოს საამორტიზაციო პოლიტიკა აწესებს საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვისა და გამოყენების წესს. შაამორტიზაციო პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო არეგულირებს აღწარმოების ტემპებსა და ხასიათს და უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ფონდების განახლების სისწრაფეს. შახელმწიფოს მიერ სწორი სსაამორტიზაციო პოლიტიკის გატარება კორპორაციებს საშუალებას აძლევს იქონიონ

საკმარისი საინვესტიციო სახსრები ძირითადი ფონდების მარტივი და გარკვეულწილად გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

სახელმწიფოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ქვეშ გაიგება მიზანმიმართულ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერებისა და ტექნიკის კომპლექსურ განვითარებას, მათი შედეგების ქვეყნის ეკონომიკაში დანერგვას. იგი წარმოადგენს ინოვაციური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევას და სახელმწიფოს მხრიდან მათი პროგრესირების ყოველმხრივ ხელშეწყობას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკას უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება ნამდვილად სჭირდება. აღნიშნული გამოწვეულია სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ნაკლები შესაძლებლობით, სამამულო კორპორაციების უმრავლესობაში საკმარისი სახსრების არქონით, არც თუ დიდი ხნის წინ გადატანილი ეკონომიკური კრიზისითა და წარმოების დაცემით, წარმოების ძირითადად მოძველებული და ისიც ამორტიზებული მოწყობილობით აღჭურვით, კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის სიძვირითა და ა.შ.

ეროვნულ ეკონომიკაში ჩართული და ეფექტურად გამოყენებული უცხოური კაპიტალი, ერთის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებაში დაგვეხმარება. მაგრამ, მეორეს მხრივ, საქართველოსთვის, როგორც მცირე, განვითარებადი ქვეყნისათვის, მან გარკვეული წინააღმდეგობები შეიძლება შექმნას. მაგალითად: გარკვეული ვალდებულებების დაკისრება; ქვეყნის დამოკიდებულების მრავალგვარი ფორმების შექმნა; ხელის შეწყობა საგარეო დავალიანების ზრდისათვის და ა.შ. ანუ უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება არაერთგვაროვანი შედეგები მოჰყვეს ეროვნული ეკონომიკისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქტუალური ხდება საკითხი ტექნიკური დახმარების გაფართოებისა, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი რესურსების გამოყენებაზე, საკუთარი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ადგილობრივი ინვესტიციური კაპიტალის ფორმირება-გააქტიურებაზე და შემდეგ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ამასთან, წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია სახსრების მოზიდვა არა სესხების, არამედ ინვესტიციური კაპიტალის, ერთობლივი გრძელვადიანი პროექტების, დასაქმების ქვოტების და სხვა სახით.

აღსანიშნავია, რომ პერსპექტივები უცხოური ინვესტორებისათვის საქართველოში და სხვა, ყოფილი ე.წ. "სოციალისტური ბანაკის", ქვეყნებში საკმაოდ მიმზიდველია. აღნიშნულზე მოქმედებს: ეროვნული მეწარმეების მხრიდან არსებითი კონკურენციის არარსებობა; იაფი მუშა ხელი; იაფი ნედლეულის ბაზარი; დიდი სამომხმარებლო ბაზარი; მოგების საკმაოდ მაღალი ნორმა, რომელიც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებულ საშუალო მოგების მაჩვენებელს აღემატება; სუსტი ეფექტურობის ხარისხის მქონე ირაციონალური ბაზრების არსებობა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოური კაპიტალის დაინტერესება ასეთ ქვეყნებში სახსრების ინვესტირებით, ჯერ კიდევ არც ისე მაღალია. აღნიშნულის გამომწვევ ძირითად მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობა; არასრულყოფილი და ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი კანონმდებლობა; საკუთრების უფლების განსაზღვრაში გაურკვევლობა; რეალური შეღავათებისა და პრივილეგიების არარსებობა უცხოური კაპიტალისათვის; ნაციონალური ვალუტების არასტაბილურობა; საგადასახადო სისტემაში მოსალოდნელი ცვლილებების ნაკლებ პროგნოზირებადობა.

აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით და მათ საკომპენსაციოდ, ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობები რეგულარულად ატარებენ ფინანსური ბაზრების სხვადასხვა ასპექტების ლიბერალიზაციასა და დერეგულირებაზე მიმართულ ღონისძიებებს. შახელმწიფო ღონისძიებები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით შეიძლება დავიყვანოთ ორ ჯგუფზე. ირველს მიეკუთვნება ინფლაციის ტემპების, უცხოური ინვესტორების რისკების შემცირებაზე მიმართული ქმედებები და გარანტირებული გადახდები საგარეო დავალიანების მიხედვით. ეორე, ეს არის ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ გადასახადებს და ამარტივებენ საბაჟო პირობებს უცხოელი ინვესტორებისათვის.

აგვარად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საინვესტიციო პოლიტიკა, საამორტიზაციო პოლიტიკა, მეცნიერულ-ტექნიკუტი პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებები სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ისინი უნდა გამომდინარეობდნენ ამ პოლიტიკიდან და ხელს უწყობდნენ მის რეალიზაციას.

ინვესტიციური პოლიტიკა შეუძლებელია განხორციელდეს მისი რეალიზაციის მექანიზმის გამართული ფუნქციონირების გარეშე. იგი უნდა მოიცავდეს: ინვესტიციათა დაფინანსების წყაროებისა და მეთოდების შერჩევას; რეალიზაციის ვადების განსაზღვრას; ინვესტიციური პოლიტიკის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი ორგანოების შერჩევას; ინვესტიციური ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნას; ინვესტიციათა მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ა.შ.

სახელმწიფოს ინვესტიციური პოლიტიკის გარდა არჩევენ დარგობრივ, რეგიონულ და კორპორაციათა ინვესტიციურ პოლიტიკას. ყველა მათგანი მჭიდრო ურთიერთკავშირშია, მაგრამ განმსაზღვრელს მაინც საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა წარმოადგენს, რადგან სწორედ იგი ქმნის პირობებს და უწყობს ხელს საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას ყველა დონეზე.

დარგობრივი ინვესტიციური პოლიტიკა გულისხმობს მხარდაჭერას მეურნეობის იმ პრიორიტეტული დარგებისა, რომელთა განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვით უსაფრთხოებას, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და ოპტიმალური მეურნეობრივი პროპორციების ჩამოყალიბებას მკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მისახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

ივესტიციურ პოლიტიკას ყველა რეგიონში გარკვეული თავისებურებები შეიძლება ახასიათებდეს, რაც განპირობებულია შემდეგი გაქტორებით: რეგიონში გატარებადი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკით; არსებული სამრეწველო პოტენციალის სიდიდით; ბუნებრივ-კლიმატური პირობებით; ენერგო რესურსებით აღჭურვის დონით; გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით; დემოგრაფიული მდგომარეობით; უცხოური ინვესიტიციებისათვის რეგიონის მიმზიდველობით და ა.შ.

ინვესტიციურ საქმიანობაში სულ უფრო მეტად ერთვებიან კერძო სექტორის მეურნე სუბიექტები. ქედან გამომდინარე, კორპორაციათა ინვესტიციური პოლიტიკის მნიშვნელობა და როლი არსებითად იზრდება. აღნიშნულის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთარი და მოზიდული სახსრების მომგებიანად დაბანდებას კორპორაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

კორპორაციის ინვესტიციური პოლიტიკა მისი ბიზნეს-გეგმის სტრატეგიული მიზმებიდან გამომდინარეობს. თანამედროვე პირობებში ინვესტიციური პროცესის ფორმირების ბევრი პრობლემა ინვესტიციური პოლიტიკის მკვეთრად განსაზღვრული პრინციპების სისტემის არარსებობით არის განპირობებული. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ღერძს, რომელიც მიკრო და მაკრო დონეების ეფექტურად ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს.

ინვესტიციათა თეორიის თანახმად, ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: მიზანმიმართულობა; ეფექტურობა; მრავალვარიანტულობა; მოქმედებათა რეგულირებადობა; სისტემურობა; მოქნილობა; რესურსების ათვისებისათვის მზადყოფნა; კომპლექსურობა; სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოება. ეს პრინციპები უნდა რეალიზდებოდნენ როგორც მეურნე სუბიექტის, ისე მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანოთა დონეზე.

საერთო სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების დონეზე ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას. მათ შორის, იგი ორიენტირებული უნდა იყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე მეურნე სუბიექტებისათვის. ასე მაგალითად, სახელმწიფოს მიერ გატარებადი რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად პრინციპებად შეიძლება მოგვევლინოს შემდეგი:

1) სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ინვესტიციური სივრცის ერთიანობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ე.ი. ხელს უწყობდეს ფინანსური კაპიტალის, ინვესტიციური საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას. იგი უნდა ქმნიდეს ერთიან პირობებს ინვესტიციური საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირებისა და მისი ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის;

2) სახელმწიფო დონეზე მიზანშეწონილია შემუშავებულ და რეალიზებულ იქნას შეზღუდული ოდენობის, მაგრამ რეალური საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამები, რომელთა ორგანული ნაწილი უნდა გახდეს რეგიონული ჭრილი, შეთანხმებული ტერიტორიულ ერთეულებთან;

3) აუცილებელია მსგავსი დანიშნულების სახელმწიფო ფინანსური ნაკადების დუბლირების თავიდან აცილება. მათი რეგიონული ურთიერთკავშირის სრულყოფის გზით. აკადების მართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროპორციების სტაბილური და სრული გამიჯვნა, საბიუჯეტო შემოსავლების ყველა საგადასახადო წყაროს, როგორც მათ მიერ გასატარებელი ინვესტიციური პოლიტიკის ეკონომიკური საფუძვლის მიმაგრება სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე.

4) მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აღჭურვა ეკონომიკური, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო რეგულირების ფართო უფლებამოსილებებით, რაც ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირებაზე იქნება მიმართული;

5) არ გამოვრიცხავთ გირავნობითი სამართლის ისეთი საერთო-სახელმწიფო ნორმატიულ-საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავებასა და გამოყენებას, რომელიც გაითვალისწინებს არაკომერციული რისკებისაგან ინვესტიციების დაზღვევას ტერიტორიული ერთეულების ქონებით (რა თქმა უნდა მათი შეხედულებისამებრ).

ეფექტური მუნიციპალური ინვესტიციური პოლიტიკის გატარებისათვის (მუნიციპალური წარმონაქმნების დონეზე) აუცილებელია რეგიონების დონეზე ერთიანი ინვესტიციური სტრატეგიის შემუშავება, სადაც ინვესტიციების მოზიდვა მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგ ღონისძიებათა გათვალისწინებით:

- საკუთარი ინვესტიციური პოტენციალის შეფასება, რეგიონის შჭ თ[2] ანალიზის განხორციელება;
- რეგიონული განვითარების სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია;
- მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მარკეტინგული, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებების რეალიზაციას რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ინტერესიდან გამომდინარე. აღნიშნულ პროგრამებში შეიძლება ასახულ იქნას პროგრამულ ღონისძიებათა (მაგალითად, მთლიანად რეგიონისა და მისი

[2] ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საშიშროებების (რისკების) ანალიზი

ცალკეული ტერიტორიული ერთეულის ბიზნეს პოტენციალის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბიზნეს-რუქის შექმნა) სისტემა;

- თავისუფალი და ინვესტიციურ პროცესში ჩართვისათვის მზადმყოფი არაეფექტურად გამოყენებადი საწარმოო სიმძლავრეების და ლიზინგით გასაცემი ქონების (თუ არსებობს) შესახებ მონაცემთა ბანკის ფორმირება;
- ცალკეული ტერიტორიების სტიმულირების პროგრამების შემუშავება თავისუფალი მეწარმეობის ზონების გახსნითა და დაუმთავრებელი მშენებლობების შემცირების ღონისძიებათა ხელშეწყობით;
- ცალკეული დარგების, კომპანიების მიხედვით ბიზნეს-პორთფელების ფორმირება.

კორპორაციის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების დროს უნდა დავიცვათ შემდეგი პრინციპები: ინვესტიციური პოლიტიკის მიმართვა კორპორაციის ატრატეგიული გეგმებისა და მისი ფინანსური მდგრადობის მიღწევაზე; ინფლაციისა და რისკის ფაქტორის გათვალისწინება; ინვესტიციათა ეკონომიკური დასაბუთება; პორთფელური და რეალური ინვესტიციების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება (თუ ამის შესაძლებლობას იძლევა ქვეყანაში და რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარება, საგარეო ეკონომიკური კავშირების ხასიათი, ფინანსური ბაზრების განვითარებულობა და ა.შ.); ინვესტიციური პროექტების რანჟირება მნიშვნელოვნებისა და თანმიმდევრულობის მიხედვით, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და საგარეო წყაროების მოზიდვის შესაძლებლობების გათვალისწინებით; ინვესტიციათა დაფინანსების შედარებით იაფი და საიმედო წყაროებისა და მეთოდების შერჩევა.

აღნიშნული და სხვა პრინციპების გათვალისწინება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შეცდომები და უზუსტობები კორპორაციის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების რთული და შრომატევადი პროცესის დროს.

თანამედროვე პირობებში ეფექტური ინვესტიციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ხუთი ძირითადი პრინციპის განვითარებას:

1. ინვესტიციური საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის სრულყოფას;
2. ინვესტიციური პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებზე ინვესტიციური პოლიტიკის კონცენტრირების განხორციელებას;

3. რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ფარგლებში კორპორაციათა ძალისხმევის გაერთიანებას ერთობლივი ინტერესების რეალიზაციისატვის;
4. განვითარების დადებითი და უარყოფითი მომენტების სისტემატური მონიტორინგი;
5. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნა-აუმჯობესებაზე ზრუნვა.

ინვესტიციური კლიმატი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები. მათი ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტიციური საქმიანობის პირობებს მთლიანად ქვეყანაში და ისე მის ცალკეულ რეგიონსა თუ ტერიტორიულ ერთეულში.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ინვესტიციური კლიმატის როგორც განსაზღვრის, ისე მისი გამოთვლის მეთოდიკის საკმაოდ ვრცელი სპექტრი, უპირველეს ყოვლისა, დაბანდებული კაპიტალის მომგებიანობის თვალსაზრისით. ცნება "ინვესტიციური კლიმატი" გამოიყენება უპირატესად საბაზრო ეკონომიკისათვის, როდესაც სამეურნეო გარემო არ ექვემდებარება პირდაპირ მართვას. იგი წარმოადგენს ერთობ განზოგადებულ კრიტერიუმს ინვესტიციური რესურსების განთავსებისათვის. ინვესტიციური კლიმატი ყალიბდება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და თუნდაც კულტურული პირობების ერთობლიობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში, კონკრეტულ საწარმოში, ქალაქში, რეგიონში თუ მთლიანად ქვეყანაში დაბანდების მიმზიდველობას.

ინვესტიციური კლიმატის შეფასებები ხელსაყრელსა და არახელსაყრელს შორის მერყეობს. ხელსაყრელი კლიმატი ხელს უწყობს ინვესტორების აქტიურ საქმიანობას და სტიმულს აძლევს კაპიტალის მოზიდვას. არახელსაყრელი - ინვესტორისთვის ზრდის რისკს, რაც იწვევს კაპიტალის გადინებას და ინვესტიციური აქტივების შეკვეცას. ინვესტიციურ კლიმატზე მოქმედი ფაქტორები, საზოგადოების მხრიდან მათზე მოქმედების შესაძლებლობის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ობიექტური (ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ენერგო რესურსებით უზრუნველყოფა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, დემოგრაფიული ვითარება და ა.შ.);
- სუბიექტური (დაკავშირებული ადამიანთა საქმიანობის მართვასთან).

ინვესტიციური კლიმატი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინვესტიციურ პოლიტიკასთან. ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ინვესტორებისათვის ოპტიმალური პირობრბის შექმნაზე მიმართული მართველობის ორგანოების ზემოქმედების ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობას საერთო სახელმწიფო, რეგიონალ, მუნიციპალურ ან მეურნე სუბიექტების დონეზე. ერთის მხრივ, იგი განსაზღვრავს ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების სასტარტო პოზიციებს, ხოლო მეორეს მხრივ – მის შედეგს წარმოადგენს.

ინვესტიციური პოლიტიკის ეფექტურობა იზომება ინვესტიციური კლიმატის უკეთესობისაკენ ცვლილების ხარისხით. თავის მხრივ, ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის არსებობა ზემოქმედებს ინვესტიციურ პოლიტიკაზე, მისი შემდგომი სრულყოფის მხრივ.

ინვესტიციური პოლიტიკა, გამოდის რა, როგორც სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობა, ზემოქმედებს იმ განსხვავებებზე (უპირველეს ყოვლისა სუბიექტურზე), რომლებიც ქმნიან ინვესტიციურ კლიმატს. იგი აქტუალიზდება ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების სტრატეგიის შემუშავებითა და რეალიზაციით.

ინვესტიციური კლიმატის შეფასების მეტოდები მრავალფეროვანია. ისინი ეფუძნება განსხვავებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს, რომელთა ერთობლიობის მიხედვით ქვეყანას, რეგიონსა თუ ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულს ენიჭება ინვესტიციური რეიტინგი. რეიტინგი მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ინვესტორებისათვის, რომელთა უმრავლესობას არ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს სათანადო გამოკვლევები, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის შიგნით და ამიტომ, ორიენტაციას აკეთებს სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებზე. ამის გამო, რეიტინგის ამაღლება ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური ზრდისათვის ასე აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვასთან და ქვეყნის შიგნით ბიზნესის გააქტიურებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **შონია ნ., გუგეშაშვილი თ., ღავთაძე გ.,** ფინანსური ბაზრები და ფასიანი ქაღალდები, ქუთაისი 2003

2. **Warren E. Buffett**, Essays Selected, Arranged, and Introduced by **Lawrence A. Cunningham**, First Revised Edition, 2005
3. **Попков В. П., Семенов В. П.,** Организация и финансирование инвестиций, СПб: Питер, 2001

Гавтадзе Георгий *– Профессор департамента экономики государственного университета им. А. Церетели; руководитель научно-исследовательского центра Университета Права и Экономики Кутаиси*
Ипширадзе Аза *– Преподаватель департамента экономики государственного университета им. А. Церетели*

Инвестиционная политика, её роль и принципы разработки в нынешних условиях

Р е з ю м е

Инвестиционная политика является составной частью экономической политики государства. Это важный рычаг воздействия, как на экономику страны, так и на предпринимательскую деятельность. Инвестиционная политика государства - комплекс целенаправленных мероприятий по созданию благоприятных условий для всех субъектов хозяйствования с целью оживления инвестиционной деятельности, подъема экономики, повышения эффективности производства и решения социальных проблем. Кроме государственной инвестиционной политики различают отраслевую, региональную инвестиционную политику и инвестиционную политику предприятия. Определяющей является государственная политика, так как она создает условия и способствует активизации инвестиционной деятельности на всех уровнях.

Инвестиционный климат - это среда, в которой протекают инвестиционные процессы. Он формируется под воздействием взаимосвязанного комплекса законодательно-нормативных, организационно-экономических, социально-политических и других факторов, определяющих условия инвестиционной деятельности в стране, регионе, городе и т.д. Инвестиционный климат выступает объектом воздействия инвестиционной политики. С одной стороны, он определяет стартовые условия для разработки инвестиционной политики, а с другой - является ее результатом.

Эффективность инвестиционной политики измеряется степенью изменения инвестиционного климата в более благоприятную сторону. В свою очередь, более благоприятное состояние инвестиционного климата влияет на инвестиционную политику в сторону ее дальнейшего совершенствования.

George Gavtadze *– Full Professor of department of Economics at Akaki Tsereteli State University; The head of the scientific-research center at Kutaisi University of Law and Economics*
Aza Ifshiradze *– The teacher of department of Economics at Akaki Tsereteli State University;*

Investment policy, it’s role and principles of creating in modern times

S u m m a r y

Investment policy is a part of the economical policy of the State. It’s an important lever for the ascendancy on the economy and also on the business activity. Investment policy – the complex of the “on result oriented” activities for creating of the beneficial conditions for all members of economy, for increasing of economy, high of production efficiency and solving social problems.

Besides of the state investment policy, there are the same policies for the sectors of economy, regions of the country and for the concrete enterprises.

Investment climate – is the environment, in which the investment processes are going on. It is being formed by the ascendancy of law, organizational, economical, social and political factors. They are determining the conditions of investment activity in the country, region, city and etc.

There is a very close relation between the investment policy and climate. The last one becomes the object of determining from the policy. From one side, it creates the starting positions for the forming of the policy, and from the other side, it’s a result of the realization of investment policy.

The efficiency of the investment policy is measured by the level of investment climate changes on the better way. From its site, favorable investment climate influences on the investment policy for its future perfection.

ლელა ბახტაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

განსახელმწიფოებრივება-გარდამავალი ეპოქის ეკონომიკური გარდაქმნების მნიშვნელოვანი მიმართულება

განსახელმწიფოებრიობის პროცესის არსი

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია, განსახელმწიფოებრივება რომლის მიზანს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება, მრავალწყობიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეების ფორმირება, მწარმოებლური შრომის მოტივაციის შექმნა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება.

გარდამავალ ქვეყნებში საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების საკვანძო პრინციპებად მიჩნეულ უნდა იქნეს კომპლექსურობა, ეტაპობრიობა, მრავალფეროვნება, დარგებისა და სუბიექტების სპეციფიკის გათვალისწინება, ამ პროცესის გონივრული სახელმწიფოებრივი რეგულირება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიუხედავად იმისა, რომ ბევრი, კერძო სექტორში რეგისტრირებული საწარმო პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი წილი ძირითად სამუშაოსთან ერთად დამატებით მუშაობს, წვრილი კერძო საწარმოების განვითარება გავლენას ახდენს დასაქმებაზე. დროთა განმავლობაში შესაბამისი პირობების შექმნისას წვრილი საწარმოები გადაიქცევიან საშუალო ზომის ფირმებად და შეძლებენ შეიტანონ თავიანთი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ისეთ პირობებში, როცა მოსახლეობას არა აქვს კაპიტალი და არსებობს შეზღუდვა ამ საწარმოების უცხოელებზე მიყიდვაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საწარმოთა ღირებულება შემცირებულია მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია წარმოადგენს მთავარ პრობლემას. იმისათვის, რომ პრივატიზაცია იყოს წარმატებული, აუცილებელია სხვა რეფორმების გატარებაც, კერძოდ, როგორიცაა ფასების რეფორმა, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების და კონკურენტული გარემოს ფორმირება, ისეთი კანონების მიღება, რომლებიც წაახალისებენ ეფექტიანად მოქმედ საწარმოებს და კაპიტალის დაგროვებას.

1. **საბაზრო ფასები აუცილებელია საწარმოთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.** მანამ, სანამ ფასები არ გახდება საბაზრო, ფირმის მოგება ან ზარალი არ შეიძლება იყოს ეფექტიანობის საზომი. კერძოდ, სულ არ არის აუცილებელი საწარმოს დახურვა ზარალის გამო, თუ ფასები წესდება სახელმწიფოს მიერ გაწონასწორებული დონის ქვემოთ. შესაძლებელია საწარმო რენტაბელური ყოფილიყო თავისი პროდუქციის საბაზრო ფასებით გაყიდვის შემთხვევაში. ამდენად, საწარმოს ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ პასუხი აგონ მის რენტაბელობაზე, თუ ფასებს მთავრობა ადგენს.

2. **რაციონალური სავალუტო კურსი, ეროვნული ვალუტის შექცევადობა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია** აუცილებელია იმისათვის, რომ ახლად შექმნილმა კერძო კომპანიებმა მსოფლიოს ბაზარზე შეძლონ კონკურენციის გაწევა. წარმოების და გაყიდვის შეზღუდვა მხოლოდ საშინაო ბაზრის ჩარჩოებში ამცირებს მსხვილმასშტაბიანი წარმოების უპირატესობას და ქმნის სიძნელეებს ფირმების განვითარებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

3. **საწარმოებისათვის ფინანსური პირობების გამკაცრება აიძულებს** ხელმძღვანელებს გადაწყვიტონ რთული პრობლემები, რაც აუცილებელია მათი გადარჩენისა და წარმატებების მიღწევისათვის. კერძოდ, მკაცრი ფინანსური პირობები ფირმებისაგან მოითხოვს ხელფასის შეზღუდვას. ასეთ პირობებში საწარმოები აცნობიერებენ, რომ მათი შესაძლებლობები ფასების გადიდების მიმართულებით განისაზღვრება ბაზრის მიერ, განსაკუთრებით კონკურენტული ბაზრის პირობებში.

4. გარდამავალი ეკონომიკის ბევრ დარგში **კონკურენტული გარემოს (მყიდველის ბაზარი) ფორმირება** საჭიროა იმისათვის, რომ შეიზღუდოს საწარმოთა მონოპოლია. ამასთან, აუცილებელია შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ჭარბი ფულადი მასის და ჭარბი მოთხოვნის შემცირებისაკენ, რასაც ექნება მნიშვნელოვანი შედეგები მაკროეკონომიკურ დონეზე.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული საწარმოთა საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებისათვის და მომხმარებლის შესაბამისი ქცევის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია გამყიდველის ბაზრის შეცვლა მყიდველის ბაზრით.

5. **შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართლებრივი ნორმების შექმნა** აუცილებელია იმისათვის, რომ პრივატიზებულმა საწარმოებმა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს. ეკონომიკაში, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება გაბატონებული სახელმწიფო სექტორი. მანამ, სანამ არ იქნება პრივატიზებული სახელმწიფო სექტორის საწარმოები, კერძო ფირმები ეცდებიან იპოვონ თავიანთი ნიში, სადაც არ ჭარბობს სახელმწიფო საწარმოები. გარდამავალ ხანაში აუცილებელია შეიქმნას და ამოქმედდეს ახალი ინსტიტუტები, სისტემები და კანონები.

6. **საწარმოთა ხელმძღვანელების (მმართველების) ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა** ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. თუ მმართველები ფინანსურ პასუხისმგებლობას კისრულობენ ფირმის საქმიანობაზე, საბაზრო სიგნალებზე დაყრდნობით მათ უნდა ჰქონდეთ ფასების აგრეთვე ხელფასის დაწესების, დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრის უფლება და სხვ. წარმატებული პრივატიზაცია მოითხოვს ასევე კაპიტალის შერწყმას, პროფესიონალურ ცოდნას მმართველობის სფეროში, ტექნიკურ გამოცდილებას, ფართო ინფორმაციის ფლობას ბაზრებსა და პროდუქციაზე და სხვა.

პრივატიზების გზები და მეთოდები

ცხადია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის მთავრობები პრივატიზაციის განხორციელებისას გამოიყენებენ სხვადასხვა მიდგომებსა და მეთოდებს. განვიხილოთ ეს მეთოდები.

1. **რეპრივატიზაცია** არის საწარმოების დაბრუნება მათი ყოფილი მფლობელებისათვის. ზოგიერთ ქვეყნებში მიღებული იყო კანონები გასული საუკუნის 40-იან წლებში კონფისკებული აქტივების მათი ყოფილი მესაკუთრეებისათვის დაბრუნების შესახებ. აქ პრობლემა წარმოიქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ 50 წლის წინანდელ პრეტენზიებზე დაფუძნებული საკუთრების უფლებები ძალზე აღრეულია. მრავალი ათასი სასამართლო საქმის განხილვისათვის საჭიროა წლები, რომ ყველა პრობლემა გარჩეულ იქნეს დეტალურად. უმრავლესობა თვლის, რომ პრივატიზაციის პროცესი ვერ დაელოდება იმ ფუფუნებას, როცა გადაწყვეტილი იქნება რეპრივატიზაციის საკითხი.

2. **სტიქიური პრივატიზაცია** არის საწარმოებისა და მათი აქტივების გაყიდვა ხშირად ნომინალური ფასებით თვით საწარმოს მუშებზე და მმართველებზე. მომგებიანი საწარმოები გაიყიდება მათზე, ვინც დაკავშირებულია ამ საწარმოსთან, ვისაც აქვს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ და აუცილებელი კავშირები მასთან. გასული საუკუნის 90-იან წლებში სტიქიური პრივატიზაცია გავრცელებული იყო უნგრეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში.

3. **საჯარო ვაჭრობა (აქტიური პრივატიზაცია).** ამ დროს მთავრობა ყიდის ფირმას იმაზე, ვინც მეტ ფასს იხდის. იუგოსლავიასა და აღმოსავლეთ გერმანიაში ეს მეთოდი გამოყენებული იყო როგორც პრივატიზაციის მთავარი მეთოდი, ხოლო პოლონეთსა და უნგრეთში მსხვილი საწარმოების მიმართ იგი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში. აუქციონები, სადაც ხდება საწარმოთა გაყიდვა, ფართოდ არის რეკლამირებული. როგორც წესი, წვრილი საწარმოების გაყიდვისას მყიდველებს უფლება ეძლევათ შეიტანონ გადასახდელები ნაწილ-ნაწილ, ხოლო მსხვილ საწარმოთა შემთხვევაში საჭიროა პირველდაწყებითი გადასახდელი ღირებულების 10-15%-ის ოდენობით. დანარჩენის დაფარვა კი წარმოებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

4. **შერეული ვარიანტები**. რუსეთში განხორციელებული პრივატიზაციის პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოთა აქციების 25%-ის გადაცემას მისი მუშაკებისათვის (მასიური გადაცემა) და დანარჩენი ნაწილის აუქციონზე გაყიდვას, სადაც მუშაკებს ეძლეოდათ დამატებითი შესაძლებლობა ეყიდათ აქციების კიდევ 10% მათი ნომინალური ღირებულებიდან 30%-იანი ფასდაკლებით (სტიქიური პრივატიზაცია).

პრივატიზების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი

აღსანიშნავია, რომ სტიქიურ პრივატიზაციას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

1. **უსამართლობა.** სტიქიური პრივატიზაციის პირობებში საზოგადოების ძირითადი ფონდები მოქალაქეთა შორის ნაწილდება თავისუფალი სახით. ზოგიერთი მუშაკი მდიდრდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აღმოჩნდნენ სწორედ პრივატიზაციას დაქვემდებარებულ საწარმოში, სხვები კი არაფერს არ ღებულობენ. პენსიონერები, სამხედრო მოსამსახურეები, სტუდენტები, ისინი, ვინც დასაქმებულია სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში და მოსახლეობის სხვა ჯგუფები, ასეთი პრივატიზაციის შედეგად აღმოჩნდებიან მოვლენებს მიღმა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას უკმაყოფილება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის.

2. **სტიქიურად პრივატიზებული საწარმოების მუშაობის დაბალეფექტიანობა**. მათი საქმიანობა შეიძლება იყოს არაეფექტიანი, განსაკუთრებით თუ რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და სახელმწიფო აგრძელებს საწარმოთა ზარალის სუბსიდირებას (ანუ მოქმედებს ლიბერალური საბიუჯეტო შეზღუდვის რეჟიმი). მმართველებს არ ექნებათ საკმარისი სტიმულები ფირმის კაპიტალის გასაფართოვებლად, ხშირად გადაიხრებიან ხელფასის მომატებისაკენ და არა ინვესტიციების გადიდებისაკენ. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა რეფორმები დასრულებულია და არსებობს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ამ გზით პრივატიზებულ საწარმოთა ეფექტიანობა. არსებობს საფუძველი იმისა რომ იმ ტიპის საწარმოებში, რომლებიც დასავლეთში იქმნება შ [3]–ის მექანიზმის მეშვეობით და სადაც მუშაკები არიან საწარმოს მფლობელები, წარმოიქმნება მძლავრი სტიმულები სრულყოფისა და სიახლეებისათვის.

3. **სტიმულების უქონლობა უცხოელი ინვეტორებისათვის.** საზღვარაგრეთელი ინვესტორები, ნაკლებად იქნებიან დაინტერესებული იმით-გახდნენ მფლობელები საწარმოს მუშაკებთან ერთად, ამიტომ ნაკლებ სარწმუნოა, რომ ასეთი საწარმოები შეძლებენ მოიზიდონ უცხოური კაპიტალი და ნოუ-ჰაუ პერსპექტივაში.

სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგია და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია საგანგებოდ რთული საქმეა. 1992 წლიდან აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში მასობრივი პრივატიზაცია მხოლოდ დაიწყო. თუ წვრილ საწარმოთა რაღაც რაოდენობა გაყიდულ ან გადაცემულ იქნა კერძო მესაკუთრეთათვის, მსხვილ საწარმოთა უმრავლესობა კვლავ რჩება სახელმწიფოს ხელში.

პრივატიზაციის პროცესში იზრდება ზეწოლა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან, რომლებიც მოითხოვენ თავიანთ წილს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისას.

საწარმოს სტრუქტურული გარდაქმნა (რესტრუქტურიზაცია) – ეს არის იმ საწარმოთა განახლებისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების პროცესი, რომლებიც დროებით დარჩნენ სახელმწიფო საკუთრებაში, იმის გამო, რომ შეძლეს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. ჩვეულებრივ მისი საბოლოო მიზანია – პრივატიზაცია, გარდაქმნა კი – ეს არის შუალედური ეტაპი, იმის აღიარება, რომ სახელმწიფო საწარმო უნდა გახდეს უფრო ეფექტიანი, რომ მოიზიდოს ინვესტორები. პოლონეთსა და იუგოსლავიაში შექმნილი იყო სახელმწიფო სააგენტოები, რომლებიც გარდაქმნის დროს საწარმოებს უზრუნველყოფდნენ კონსულტაციებით და ტექნიკური დახმარებით. აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც დასავლეთგერმანელი სპეციალისტები უწევდნენ დახმარებას საწარმოებს, ეს პროცედურა იყო საკმაოდ რთული. სტრუქტურული გარდაქმნების მთავარი მიზანია სახელმწიფო საწარმოთა მომზადება ეფექტიანი მუშაობისათვის კონკურენციის პირობებში, ამიტომ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა უკეთესია პრივატიზაციამდე. კერძოდ, უკეთესი იქნება არა ახალმა კომპანიებმა, არამედ

[3] შ (მპლოჯეე შტოკ წნერსჰიპ როგრამ) – აშშ-ში მოქმედი პროგრამა საწარმოს მუშაკების კოლექტიური საკუთრების განვითარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს მუშაკების მიერ მისი აქციების შესყიდვას შეღავათიან პირობებში.

მთავრობამ გადაწყვიტოს ისეთი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თვითონ მასობრივ დათხოვნებთან, რომელიც აუცილებელია საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნების პროცესში. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სოციალური დაცვის შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება ახალ პირობებზე გადასვლის პროცესის შესამსუბუქებლად.

კომერციალიზაცია

შუალედური ღონისძიების სახით სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიების შექმნა. ამ პროცესს ხშირად უწოდებენ „კომერციალიზაციას“ ან „კორპორატიზაციას“, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების აქციონერულ კომპანიებად გარდაქმნას, რომლის აქციებს ფლობენ სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიები. ამ უკანასკნელთა შემოსავლები უნდა იყოს გამოყენებული ახალი კაპიტალდაბანდებების დაფინანსებისათვის. ინვესტიციების შემოსავლიანობის განსაზღვრის კრიტერიუმის გამოყენებით. მმართველები პასუხისმგებელნი იქნებიან აქტივების ღირებულების მაქსიმიზაციისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან სახელმწიფო საწარმოები როგორც კომერციული კომპანიები, რომლებსაც არა აქვთ შეღავათები არასახელმწიფო საწარმოებთან შედარებით მოქმედებენ რა კონკურენტულ გარემოში. ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ბაზარზე. ისინი თეორიულად თავისუფალი იქნებიან საწარმოო პრობლემების გადაწყვეტასას და რესურსების გამოყენებაში მოქმედებენ ბაზრის სიგნალებზე დაყრდნობით. „კომერციალიზაცია“ „სტრუქტურული გარდაქმნასთან“ შედარებით უფრო მეტ დროს მოითხოვს. ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომელსაც ეჭვი შეაქვს პრივატიზაციის აუცილებლობაში, კომერციალიზაციას განიხილავს, როგორც პრობლემის გადაწყვეტის გრძელვადიან საშუალებას როგორც ეფექტიან კომპრომისს სახელმწიფო საწარმოების და კერძო სექტორის განვითარებას შორის.

კომერციალიზაცია და ეფექტიანობა. იმ შემთხვევაში როცა სახელმწიფო საწარმოთა მმართველები მიისწრაფიან იმოქმედონ ეფექტიანად, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, შეძლებენ თუ არა ისინი მიაღწიონ თავიანთ მიზანს. ეს დამოკიდებულია იმაზე ექნებათ თუ არა მათ რეალური ძალაუფლება და დამოუკიდებლობა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ძნელია დაიცვა სახელმწიფო საწარმოები, მაშინაც კი თუ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო აქციონერულ კომპანიებს მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლისაგან, რომელიც შეიძლება თავისი პოლიტიკით არ ისახავდეს ეკონომიკურ მიზანს.

დემონოპოლიზაცია არის სახელმწიფო მონოპოლიის ნგრევისა და კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესი. გარდამავალი ეკონომიკის რიგ ქვეყნებში, უზომო მონოპოლიზაცია ასევე წარმოადგენს ერთერთ პრობლემას, რომელიც აძნელებს კონკურენტული და ეფექტიანი საბაზრო სისტემის ფორმირებას.

დემონოპოლიზაცია შეიძლება გატარდეს სტრუქტურული გარდაქმნების ან საწარმოთა კომერციალიზაციის პერიოდში. კერძოდ, როცა შეიძლება გამოიყოს საწარმოს ის ქვედანაყოფები, რომელთა პრივატიზება შესაძლებელია ცალკე. მაგალითად, ჩეხეთის უმსხვილესი მანქანათმშენებელი კომპანიის მმართველებმა განსაზღვრეს 18 ქვედანაყოფი, რომლებიც დაექვემდებარა ცალკე პრივატიზებას.

რთული საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების გამოყენება. უმეტესობის აზრით, ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს:

სამართლიანობა. როცა მიიღება გადაწყვეტილება ქვეყნის ძირითადი ფონდების გადანაწილების შესახებ, აუცილებელია ყველა მოქალაქის აზრის მხედველობაში მიღება. მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი წილი კაპიტალში. თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ პრივატიზაციის პროგრამა უსამართლოა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი იყოს წარმატებული. მაგრამ სამართლიანობის საკითხი ძნელად ექვემდებარება გადაწყვეტას. სადისკუსიო საკითხია უნდა ჰქონდეს თუ არა ერთნაირი წილი საზოგადოების ყველა წევრს, თუ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკებს, უნდა გამოირიცხოს თუ არა საწარმოს აქტივების განაწილების პროცესიდან საზოგადოების ზოგიერთი წევრი.

ეფექტიანობა. საწარმოთა ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვა რეფორმების გატარებაც, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, საჭიროა ფასების და ვალუტის კურსის ლიბერალიზაცია, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების დაწესება, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა, კონკურენტული გარემოს ფორმირება და მმართველების ავტონომია. ზოგჯერ ეფექტიანობის კრიტერიუმი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობის კრიტერიუმთან. აუცილებელია საწარმოს მუშაკები მონაწილეობდნენ ახალი კომპანიების სააქციო საკუთრების მართვაში, მაგრამ თუ ამ უკანასკნელს აკონტროლებენ საწარმოს მუშაკები, მისი ეფექტიანობა შეიძლება დაეცეს. ერთერთი მიდგომა, რომელიც განიხილებოდა რუსეთში, ითვალისწინებდა მუშებისათვის პრივილეგირებული აქციების მიცემას, რომელიც ხმის უფლებას არ იძლევა. მეორე წინააღმდეგობა წარმოიქმნება უცხოელების მონაწილეობის შემთხვევაში, რომელიც ზრდის საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ალბათობას. ამ შემთხვევაში, თუ უცხოელები არ დაიშვებიან საწარმოს საკუთრებასთან, ახლად პრივატიზებულმა კომპანიებმა მართვის საკითხებში უნდა გამოიყენონ დასავლეთის კონსულტანტები. საწარმოთა ეფექტიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს მისი აქციების ნაწილის ბანკებზე მიყიდვის ან გადაცემის გზით.

პოტენციალი და პერსპექტივა. მთავრობა უნდა განიხილავდეს საწარმოთა შესაძლებლობებს გრძელვადიანი პერსპექტივის პოზიციებიდან. მაგალითად, თუ კომპანიას აქვს პოტენციალი აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქტი, მაგრამ იგი იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში კაპიტალის „შთანთქმის“, მუშაკებისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბოროტმოქმედებათა გამო უაზრობა იქნებოდა პრივატიზების დაჩქარება და მისთვის ბიძგის მიცემა გაკოტრებისაკენ. ასეთ კომპანიას უეჭველად სჭირდება სტრუქტურული გარდაქმნა და რაღაც პერიოდში შესაძლებელია მისი კომერციალიზაციაც.

პრივატიზაციის ტემპი. რაც უფრო მეტი დროა საჭირო პრივატიზაციის პროგრამის განხორციელებისათვის, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ცალკეულმა დაინტერესებულმა ჯგუფებმა გავლენა იქონიონ პროგრამის შინაარსზე.

სიმარტივე. მარტივი პროგრამა უკეთესია. პრივატიზაციის ბევრი პროგრამა ზედმეტად რთულია, მათი გაგება ძნელია. პროგრამის სიმარტივე ავსებს სამართლიანობის და სისწრაფის კრიტერიუმებს.

პრივატიზების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

როგორც კი ქვეყანაში მიიღება გადაწყვეტილება საბაზრო ეკრნომიკაზე გადასვლის შესახებ, როგორც წესი, წარმოიშობა საწარმოთა პრივატიზაციის მოთხოვნა,

განსაკუთრებით თვითმართვადი საწარმოების მუშაკების მხრიდან, რომლებიც უფლებას აცხადებენ თავიანთი საწარმოს საკუთრებაზე. განვიხილოთ მოსაზრებები სწრაფი პრივატიზაციის სასარგებლოდ.

1. **პოლიტიკური შეხედულებები**. რეალური ფასების მოქმედებისას არსებობს დასაბუთებული მოსაზრება სწრაფი პრივატიზაციის სასარგებლოდ. კერძოდ, გარკვეულ დაინტერესებულ ჯგუფებს, მაგალითად, ყოფილ ბიუროკარტებს ან სამუშაოდაკარგულ მუშებს იგი არ აძლევს ორგანიზებისა და რეფორმიდან გადახვევის საშუალებას. საწყის პერიოდში წარმოიქმნება უკმაყოფილება მაღალი უმუშევრობით და უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდით. გარდა ამისა, ძნელია შეცვალო სახელმწიფო საკუთრება, განსაკუთრებით თუ სხვა რეფორმები ხორციელდება მტკივნეულად, ხოლო საწარმო მუშაობს შედარებით ეფექტიანად.

ეჭვი იმისა, რომ პრივატიზაცია საერთოდ არ გატარდება თუ ის ხანგრძლივი დროით გადაიდება, ძლიერი არგუმენტია პრობლემის „ერთი დარტყმით“ ანუ რეფორმის ერთდროულად და სწრაფად განხორციელების მომხრეთა სასარგებლოდ.

2. **დეკაპიტალიზაციის სტიმულები (ძირითადი კაპიტალის „შთანთქმა“).** ეს სტიმულები გააჩნიათ სახელმწიფო საწარმოთა მუშაკებს და მმართველებს. სხვა სიტყვებით, ეს არის სტიმულები საწარმოთა ხარჯზე რაც შეიძლება მეტად გამდიდრებისა – მაღალი ხელფასების განაკვეთების, პრემიების დაწესების და უბრალოდ დატაცების წყალობით. თუ დაიშვება კრედიტებისა და სუბსიდიების გამოყენება ზარალის დასაფარავად, გამდიდრების შესაძლებლობა იზრდება. მანამ სანამ საწარმო იმყოფება სახელმწიფოს ხელში არ იქმნება შრომის ნაყოფიერების ზრდის სტიმულები, რამდენადაც მუშების დიდი ნაწილი არ არის დარწმუნებული რომ ისინი შეიძლება გახდნენ აყვავების მონაწილეები. სწრაფი პრივატიზაცია – უკეთესი ხერხია ასეთი ზარალის შემცირებისათვის.

3. **მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება**. პრივატიზაცია უფრო სწრაფად აამაღლებს საწარმოს ეფექტიანობას. სახელმწიფო საწარმოები არაეფექტიანი მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების, რისკისა და სიახლეთა სტიმულების უქონლობის გამო შესაძლებელია დარჩნენ. აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა კომპანიამ დაკარგა საექსპორტო ბაზარი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ჩარჩოებში ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გაუქმების გამო, ამავე დროს მათ დაკარგეს თავიანთი საშინაო ბაზარიც, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის და ამ ბაზარზე მათი მონოპოლიური მდგომარეობის შერყევის შედეგად. ასეთ საწარმოებს რეპუტაცია შელახული აქვთ, ამიტომ სწრაფად სურთ აიმაღლონ ეფექტიანობა, გახდნენ კონკურენტუნარიანი. ჩვენი აზრით, ამგვარ საწარმოთა პრივატიზება, პრობლემის გადაწყვეტის საუკეთეს საშუალებაა.

ახლა კი განვიხილოთ მოსაზრებები ნელი პრივატიზაციის სასარგებლოდ

1. **პრივატიზაციის წარმატებით განხორციელების მიზნით აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების გატარება**. უნდა განისაზღვროს კერძო საკუთრების უფლება, შეიქმნას ამ უკანასკნელის გარანტიები, რომ ნამდვილად იყოს სტიმულირებული კერძო ინიციატივა. ადამიანმა რომელიც იძენს რომელიმე კომპანიის აქტივებს უნდა იცოდეს, რას ფლობს ის და როგორია მისი უფლებები.

2. **მსხვილმასშტაბიანი პრივატიზებისათვის აუცილებელია სხვა სახის რეფორმების გატარება**. ეს რეფორმები ითვალისწინებენ საბაზრო ფასების ფორმირებას, რეალური სავალუტო კურსისა და დადებითი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებას, მკაცრ

საბიუჯეტო შეზღუდვებს, კონკურენციას, მმართველთა დამოუკიდებლობას. ზემოთდასახელებული რეფორმების გარეშე პრივატიზაციის შედეგად შექმნილი ახალი ფირმები ვერ შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიებს.

3. **საწარმოთა ღირებულების ზუსტი განსაზღვრა მოითხოვს დროს.** თუ საწარმო გაიყიდება აუქციონზე, ასეთი შეფასება მისაღები იქნება როგორც მთავრობის, ისე ინვესტორისათვის. საწარმოს გაყიდვა მისი ღირებულების ქვევით საზოგადოების წევრთა უმრავლესობის მიერ განიხილება როგორც უსამართლობა.

4. **სწრაფი პრივატიზაციის მაღალი დანახარჯები**. მსხვილი სახელმწიფო საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია დაკავშირებულია დიდძალ დანახარჯებთან, რომელთა შორის ყველაზე დიდია დანახარჯები უმუშევრობასთან დაკავშირებით. პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის პირობებში ქვეყანამ ექსპერიმენტების გამოყენებით შეიძლება მისცეს საკუთარ თავს ნელი ტემპით ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ფუფუნების უფლება. ამასთან, შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ფასების სწრაფი ზრდით გამოწვეული მაღალი უმუშევრობა.

5. **პოლიტიკური მოსაზრებები**. არსებობს არგუმენტები როგორც დაჩქარებული, ისე ნელი პრივატიზაციის სასარგებლოდ. გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში საზოგადოება ვერ შეძლებს აიტანოს ხანგრძლივი ეკონომიკური დაცემა და მასობრივი უმუშევრობა, რომლებიც წარმოიშობა „ერთი დარტყმის“ სტრატეგიის შედეგად. ვრცელდება მოსაზრება, რომ აუცილებელია სახელმწიფო საწარმოების მხარდაჭერა და დახმარება (სუბსიდიებით) გარკვეულ პერიოდში მაინც. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში ამ საწარმოებს ჰქონდეთ წარმატების მეტი შანსი. მოსაზრებები სწრაფი პრივატიზაციის წინააღმდეგ მომდინარეობს არა მარტო ადრინდელი სისტემის მომხრეებიდან, რომელთა სურვილი იყო სახელმწიფო საწარმოთა ხელშეუხებელი შენარჩუნება, არამედ კერძო სექტორის განვითარების მომხრეებიდანაც, რომლებიც თვლიან, რომ პრივატიზაციის პროცესის გახანგრძლივება უკეთესია ქვეყნისათვის.

უნდა იქნეს თუ არა რეალიზებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც, საპრივატიზაციო ჩეკები ნაწილდება ყველა მოქალაქეზე თანაბრად, მაგრამ, ამასთან, საკუთრების ფართო გავრცელებას მივყავართ საწარმოთა საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანობის შემცირებამდე? აქტივების მასობრივი, უფასო გადაცემის კონცეფციის განხილვისას მითითებული იყო, რომ კუპონების სისტემა ითვალისწინებს შუამავლების ინსტიტუტის, საინვესტიციო ტიპის კომპანიების და აქციების ფლობის ურთიერთსაპაიო ფონდების არსებობას, რომლებიც ახორციელებენ საწარმოთა მართვის აპარატზე კონტროლის ფუნქციას. სწორი იქნება თუ არა მოქალაქეებს მიეცეს კომპანიების აქციები, მაგრამ მესაკუთრის ისეთი უფლების გარეშე, როგორიცაა ხმის მიცემის უფლება?

როგორ უნდა გაანაწილოს სახელმწიფომ ფონდები? გაანაწილოს თანაბრად საზოგადოების ყველა წევრზე თუ მხოლოდ ქვეყნის ზრდასრულ მოსახლეობაზე? უნდა ჰქონდეთ თუ არა უპირატესობა საწარმოს მუშაკებს მისი აქტივების განაწილების დროს? საჭიროა თუ არა პრივატიზაციის პროცესში მოქალაქეთა იმ დანაკარგების კომპენსაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფასების ლიბერალიზაციის შედეგად? საჭიროა თუ არა ყოფილი ლიდერების გამორიცხვა ახალ კომპანიებში წილის განაწილების პროცესიდან? სამართლიანობის განსაზღვრა სხვადასხვა

საზოგადოებაში სხვადასხვანაირია. შესაძლებელია მთავრობებმა გამოიყენონ რეფერენდუმი ამ პრობლემაზე საზოგადოებრივი აზრის შეფასებისათვის.

From State Ownership to Privatization – Significant Trend in Transition Economy.

(Resume)

The practice of economic transformation in transition countries has proved that the absence of institutional component increases informational indefiniteness, raises the risk of fail during exchange processes and signing contracts. All these increase economic, social and transactional expenditures of goods and services. Market cannot operate without institutional environment. The basics of building and developing modern institutions lies in the correlation of contracts and agreements, that cuts down the informational indefiniteness and risk rate, provides firm guarantees and decreases transactional expenses.

The fourth theme is focused on the issues of transferring ownership from state to private sectors, it's essence, explaining the ways and methods, analyzing the socio-economic effects of privatization, working out state's regulating strategy and searching for the ways for restructuring enterprises, revealing the peculiarities and complexities of privatization in countries under transition.

While shifting to market economy one of the most important directions is transformation of ownership relations, aimed at the establishment of private ownership and economic variety, formation of real economics in production and service spheres, relevant to the demands of market economy, motivating productive labor and enhancing financial conditions of the country.

Privatization is commonly considered as "abandoning" state ownership and the central element of economic reform. While implementing privatization the governments of transition states use different methods and approaches.

While carrying out the reforms like – liberation of prices and foreign trade, solving the issues of national currency convertibility, the appropriate legislation enters into force, strict financial limitations are put into practice for enterprises, the salaries and utilization of resources are determined by privatization:

- Raise labor productivity; as the owners and managers of enterprises wish and strive to act in order to raise their conditions and rule out the risk of bankruptcy.
- Decrease the deficit and surplus of goods. For ensuring efficient activities enterprises should take into consideration consumers' demands. As a result, they should analyze and study exactly what is needed, define the number of consumers who can purchase given goods.
- Strengthen competitiveness. Privatization facilitates the decrease of monopolistic competition of state enterprises and the development of pure competition.

Unsatisfactory job performance, low efficiency of state enterprises, and the desire to increase labor productivity and decrease the low quality production that society is not willing to purchase, results in the strong support of privatization by national economies of the countries under transition.

Historically, none of the countries has attempted to launch this kind of privatization. Many think that mass privatization is the key aspect of market economy and it should be applied very rapidly. One of the reasons for this is the belief that private companies are essential for market economy. It should be mentioned that most problems arise during the privatization processes of large state enterprises. There's no doubt that it's the most complicated among the objectives of economic reforms. Much time and great effort is required to draw privatization to an end, as it is always accompanied by serious predicaments.

The key elements of privatization in transition countries are: complexity, diversity, consideration of subjects and fields, rational regulation by state.

In order to make privatization successful, it's also important to carry out other reforms as well, such as: price reform, strict budget constraint, form competitive environment, adopt laws that will encourage effectively operating enterprises and capital inflow.

Successful privatization requires the integration of the capital and technical experience in professional knowledge management, being in possession of wide range of information about markets and products.

Emergence of great number of private enterprises and stockholders couldn’t change monopolistic nature of post socialistic economy. Besides, monopolization degree hasn't slowed down together with reforms; only state monopolization has been substituted by private one.

სტატია ეძღვნება განსახელმწიფოებრივების პროცესისა და პრივატიზაციის არსის, გზებისა და მეთოდების ახსნას, პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის გაანალიზებას, სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგიის შემუშავებისა და საწარმოთა რესტრუქტურიზაციის განხორციელების გზების ძიებას, პრივატიზაციის თავისებურებებისა და პრობლემების გამოვლენას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებაა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების დამკვიდრება, მრავალწყობიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეების ფორმირება, მწარმოებლური შრომის მოტივაციის შექმნა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება.

პრივატიზაციის ბევრი განიხილავს როგორც განსახელმწიფოებრივების ძირითად ფორმას და ეკონომიკური რეფორმის ცენტრალურ რგოლს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის მთავრობები პრივატიზაციის განხორციელებისას გამოიყენებენ სხვადასხვა მიდგომებსა და მეთოდებს.

იმ პირობებში როცა ხორციელდება სხვა სახის გარდაქმნები – ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, გადაიჭრება ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის საკითხი, მოქმედებაში შედის შესაბამისი კანონმდებლობა, საწარმოებისათვის წესდება მკაცრი ფინანსური შეზღუდვების პირობები და ხელმძღვანელობას ეძლევა ფასების, ხელფასის განსაზღვრისა და რესურსების განთავსების უფლება პრივატიზაციას ეკისრება:

– აამაღლოს შრომისნაყოფიერება, რამდენადაც საწარმოთა მფლობელებსა და მმართველებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაკოტრების ალბათობის შემცირების მიზნით უჩნდებათ ეფექტიანად მოქმედების სურვილი და მისწრაფება.

– შეამციროს საქონლის დეფიციტი და სიჭარბე. საწარმოებმა ეფექტიანი მოქმედების უზრუნველსაყოფად ყურად უნდა იღონ მომხმარებელთა სურვილები. ეს მოითხოვს იმის ანალიზსა და შესწავლას რა სახის და როგორი ხარისხის პროდუქცია სჭირდება მყიდველებს, მომხმარებელთა რაოდენობის განსაზღვრას, რომელსაც შეუძლია აღნიშნული საქონლის შეძენა.

– გააძლიეროს კონკურენცია. პრივატიზაცია ხელს უწყობს სახელმწიფო საწარმოთა მონოპოლიური უფლებების შემცირებასა და კონკურენციის განვითარებას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეროვნული მეურნეობის უმეტეს ან ყველა დარგში პრივატიზაციის ძლიერი მხარდაჭერა შედეგია სახელმწიფო საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, არაეფექტიანობის, სურვილის – ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, რომლის ყიდვა ადამიანებს არა სურთ.

ისტორიულად არსად, არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა მცდელობა ასეთი კოლოსალური მასშტაბის პრივატიზაციის განსახორციელებლად. ბევრი მიიჩნევს, რომ მასობრივი პრივატიზაცია საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ასპექტია და რომ ის უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად. ამის ერთერთი მოტივი არის რწმენა იმისა, რომ კერძო კომპანიები აუცილებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მრავალი პრობლემა წამოიჭრება განსაკუთრებით მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში. ეჭვგარეშეა, რომ იგი ყველაზე უფრო რთულია ეკონომიკური რეფორმის ამოცანებს შორის. პრივატიზაციის პროცესის დასამთავრებლად საჭიროა დიდი დრო და ძალისხმევა, რადგან ამ გზაზე წარმოიშობა მნიშვნელოვანი პრობლემები.

გარდამავალ ქვეყნებში საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების საკვანძო პრინციპებად მიჩნეულ უნდა იქნეს კომპლექსურობა, ეტაპობრიობა, მრავალფეროვნება, დარგებისა და სუბიექტების სპეციფიკის გათვალისწინება, ამ პროცესის გონივრული სახელმწიფოებრივი რეგულირება.

იმისათვის, რომ პრივატიზაცია იყოს წარმატებული, აუცილებელია სხვა რეფორმების გატარებაც, კერძოდ, როგორიცაა ფასების რეფორმა, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების და კონკურენტული გარემოს ფორმირება, ისეთი კანონების მიღება, რომლებიც წაახალისებენ ეფექტიანად მოქმედ საწარმოებს და კაპიტალის დაგროვებას.

წარმატებული პრივატიზაცია მოითხოვს ასევე კაპიტალის შერწყმას, პროფესიონალურ ცოდნას მმართველობის სფეროში, ტექნიკურ გამოცდილებას, ფართო ინფორმაციის ფლობას ბაზრებსა და პროდუქციაზე.

განსახელმწიფოების და საკმაოდ მრავალრიცხოვანი კერძო, აქციონერული მესაკუთრეების ფენის შექმნის პროცესმა ვერ შეცვალა პოსტსოციალისტური ეკონომიკის მონოპოლისტური ხასიათი, ნულამდე დაიყვანა რა პრივტაიზაციის პროცესში კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნით მოსალოდნელი სოციალური ეფექტები. თანაც გარდამავალი ეპოქის ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის მონოპოლიზაციის ხარისხი რეფორმების მიმდინარეობასთან ერთად (როგორც აღნიშნავენ მეცნიერები) არ მცირდება, მხოლოდ იცვლება მისი ფორმები: სახელმწიფო მონოპოლიას ცვლის კერძო.

მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები

იაკობ მესხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონსტანტინე ხმალაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კახაბერ გაბელაშვილი

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოში მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბება გულისხმობს:

1. მთავრობის მიერ მცირე ბიზნესის განვითარებისადმი მხარდაჭერის კონკრეტული და თანამიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც როგორც წესი უნდა წარმოადგენდეს მეწარმეობის განვითარების საერთოეროვნული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს.

2. მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზების დადგენისა და აღმოფხვრის კონკრეტული გეგმიური მიმართულების განსაზღვრა და კერძო მეწარმეობის შექმნისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება.

3. პასუხისმგებლობის და ფუნქციების გამიჯვნა სამთავრობო ორგანოებსა და რეგიონალურ სტრუქტურებს შორის მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში.

4. მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ეფექტიანი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების, რეალიზაციის და მისი შედეგიანობის შეფასების პროცესში.

5. მეწარმეობის პირობების შეფასების მექანიზმების შექმნა და სამეწარმეო პლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობის მიმდინარე კონტროლის განხორციელება.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითრების ინსტიტუციონალური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებსა და რეკომენდაციებს:

1. აუცილებელია შეიქმნას ფართო პოლიტიკური გარემო სამეწარმეო საქმიანობის ხელშესაწყობად, რაც მოითხოვს მაკროეკონომიკური პოლიტიკის და მცირე საწარმოთა საქმიანობის რეგულირების რეფორმების გატარებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი მარეგლამენტირებელი კანონებისა და წესების სტაბილურობა, აგრეთვე მემკვიდრეობითობა და შეთანხმებულობა მოცემული სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა საქმიანობაში.

მცირე საწარმოთა მხარდაჭერის სტრატეგიის რეალიზაცია მოითხოვს ერთიანი ორგანიზაციული სტრუქრუტის ჩამოყალიბებას, რაც განახორციელებს საწარმოთა განვითარებასა და ხელშეწყობის ღონისძიებათა სტიმულირებასა და კოორდინაციას ქვეყნის მასშტაბით. აქ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და კონსულტაციები სამინისტროებსა და უწყებებს შორის, რათა გამოირიცხოს ვიწრო უწყებრივი მიდგომები მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში. უნდა შეიქმნას მოცემული სექტორის

განვითარების პოლიტიკასა და გეგმებში მცირე საწარმოების წარმომდაგენელთა წინადადებების გათვალისწინების ქმედითი მექანიზმი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარწმუნო სტასტისტიკის წარმოებას და კვლევების ჩატარებას მცირე საწარმოთა მხარდაჭერის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით

2. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში მცირე ბიზნესის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის წამყვანი რგოლის, ადგილის ზუსტი განსაზღვრა. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების ორგანული კავშირი ეკონომიკური, სოციალური და რეგიონალური განვითარების ამოცანებთან. მეწარმეობის მხარდაჭერის კონკრეტულ ღონისძიებათა ეფექტიაონობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ნათლად იქნება განსაზღვრული ამოცანები ეროვნული, რეგიონალური და დარგობრივი მასშტაბით, აგრეთვე, სამინისტროებისა და უწყობების მიხედვით.

3. მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ძირითადი მიმართულების და ამ სექტორში სამთავრობო ორგანოების ჩარევის ზომის განსაზღვრა. უაღრესად მნიშვნელოვანია, დადგინდეს სამთავრობო ჩარევის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დახმარება ძირითადად უნდა წარიმართოს საბაზრო საქმიანობაში არსებული წინაღობების დასაძლევად. კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ჩარევის დრო და მეთოდები, მოსალოდნელი შედეგები და პოლიტიკის ეფექტიანობა.

4. უფლებამოსილების მინიჭება რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა თავიანთ მოთხოვნილების შესაბამისად განახორციელონ მცირე საწარმოებისათვის მხადაჭერა.

5. მჭიდრო და რეგულარული კონტრაქტების დამყარება მცირე საწარმოებთან მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესწავლისა და დახმარების გაწევის მიზნით. უნდა შეიქმნას ეფექტიანი პარტნიორობის სისტემა მეწარმეთა კავშირებს, სავაჭრო და სამრეწველო ასოციაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, სასწავლო და საკონსულტაციო დაწესებულებებს და სხვა. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის.

6. მცირე ბიზნესის სექტორის მდგომარეობის და მეწარმეობის განვითარების პროგრამების რეგულარული ანალიზი და კონტროლი მათ შესრულებაზე. ეს მოითხოვს სათანადო მექანიზმის შემუშავებას, რის მეშვეობითაც შეგვეძლება განვსაზღვროთ, რამდენად ვაღწევთ დასახულ მიზანს.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო რესურსები ძირითადად (80%-ზე მეტი) უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ყალიბდება. აქედან გამომდინარე მცირე ბიზნესის განვითარებისათვის გვჭირდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეცნიერულად დასაბუთებული, აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა.

საინვესტიციო პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრიორიტეტული დარგობრივი მიმართულებების შერჩევას, რადგან, როგორც ცნობილია საბაზრო მექანიზმები ყოველთვის არ მოქმედებენ ჩვენი ინტერესების სასარგებლოდ. აქ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ინვესტიციებისადმი იმ დარგებსა და რეგიონებში, რომლებთანაცაა დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მყარი საინვესტიციო კანონმდებლობის შექმნას. მან უნდა უზრუნველყოს ერთნაირი სამოქმედო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორისათვის. ინვესტიციების განსახორციელებლად მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ბიუროკრატიული პროცედურები. ამისათვის აუცილებელია სწორად შევახამოდ უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით საწარმოების შექმნის სარეგისტრაციო და სალიცენზიო მოთხოვნები, შეღავათები და შეზღუდვები, პარტნიორების ამორჩევის კრიტერიუმები. ეს საკითხები ჩვენს სინამდვილეში უაღრესად აქტუალურია. ამჟამად არ არის გამოკვეთილი და გამიჯნული შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია. რთული და დახლართულია ადმინისტრაციული რეჟიმი. ამას ემატება ჩინოვნიკთა არაკომპეტენტურობა და კორუფციის დიდი მასშტაბები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მოზიდვის ფორმის შერჩევას. ესენია:

- საკრედიტო რესურსების მოზიდვა მოხმარების ფონდისა და სხვა არასაწარმოო დანიშნულებისათვის;

- საკრედიტო რესურსების გამოყენება მანქანებისა და მოწყობილობების შესაძენად;

- სახსრების მოზიდვა ძირითად კაპიტალში პირდაპირი ინვესტიციების ფორმით;

სათანადო გაანგარიშებებით დასტურდება, რომ პირდაპირი ინვესტირება 40-45%-ით ამცირებს მოთხოვნას საგარეო რესურსებზე პირველ ორ ფორმასთან შედარებით. ამიტომ უცხოური ინვესტიციების გამოყენებაში პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას მიკრო დონეზე, კერძო ინვესტიციებზე დაფუძნებული მცირე საწარმოების ჩამოყალიბებას.

სრულყოფას საჭიროებს უცხოური საინვესტიციო რესურსების მიღებისა და განაწილების მექანიზმი, უნდა განისაზღვროს ორგანოები და უწყებები, რომლებიც ზუსტად გამოკვეთილი ფუნქციებით პასუხისმგებელნი იქნებიან მოცემულ სფეროზე საინვესტიციო პროექტების შემუშავებიდან მათ განხორციელებამდე. აქ დგება კოორდინაციის პრობლემა, რაც კანონდებლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

საჭიროა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკის გატარება იმ პრიორიტეტული დარგების (წარმოებათა) შერჩევით, რომლებიც მისაღები საინვესტიციო გარემოს შექმნის შემთხვევაში უზრუნველყოფენ მაქსიმალურ უკუგებას ეკონომიკური განვითარების ეტაპებისა და გადასაწყვეტ ამოცანათა ცვლილების კვალობაზე ეს პრიორიტეტები განიცდიან ტრანსფორმაციას, თუმცა მათგან შეგვიძლია გამოვყოთ საქმიანობის მეტ-ნაკლებად სტაბილური, საერთო ეფექტიანობის მატარებელი შემდეგი სფეროები:

- სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება;

- მაღალტექნოლოგიური წარმოება და ინოვაციების სფერო;

- საექსპორტო პროდუქციის წარმოება;

- მცირე ბიზნესი იმ რეგიონებში და დარგებში, სადაც უმუშევრობა მაღალია ქვეყანაში არსებულ საშუალო დონესთან შედარებით;

- მცირე ბიზნესი ტურიზმის, სატრანსპორტო, საწარმოო-საკონსულტაციო, ინჟინერინგის, "ნოუ-ჰაუს" და მომსახურების სხვა დარგებში.

ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგთა განვითარების დარგობრივ (სამრეწველო) პროგრამებში უნდა აისახოს:

- მცირე სამრეწველო საწარმოების, როგორც ძირითადი საწარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირების საკითხები;

- ძირითად საწარმოთა საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების დამუშავების დროს ოპერაციათა მცირე საწარმოების მიერ გარკვეული ნაწილის შესრულება;

- მცირე საწარმოთა დაფინანსება დარგის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა საინვესტიციო რესურსების ხარჯზე.

მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამები უნდა დამუშავდეს რეგიონალურ ჭრილში. გამოიკვეთება რეგიონალური განვითარების სამი დონე: განვითარებული, საშუალო განვითარების და ჩამორჩენილი რეგიონები. შესაბამისად განსხვავებული იქნება ხელშეწყობის ღონისძიებათა ხარისხი და მასშტაბები.

რეგიონალურ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ადგილობრივი რესურსების, მათ შორის შრომითი რესურსების მაქსიმალურ და ეფექტიან გამოყენებას.

მცირე ბიზნესის განვითარების მაღალეფექტიან სფეროდ საქართველოში პირველ რიგში უნდა მივიჩნიოთ აგრესამრეწველო კომპლექსის დარგები. კვების და მსუბუქი მრეწველობა ხასიათდება რიგი კონკურენტული უპირატესობით, როგორიცაა მაღვალკვალიფიციური კადრები, სათანადო ხარისხის კვების პროდუქტების და მოხმარების საგნების დამზადების ტრადიციები, მძლავრი სანედლეულო ბაზა, შენარჩუნებული დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეები და სხვა.

სათანადო მხარდაჭერის პირობებში აღნიშნული დარგების პროდუქციით სავსებით შესაძლებელია გაჯერდეს შიდა ბაზარი და დავიბრუნოთ დაკარგული პოზიციები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში, აგრეთვე, წარმატებას მივაღწიოთ განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

მცირე ბიზნესის განვითარების ხაზით შედარებით ნაკლები შესაძლებლობები გააჩნია მძიმე მრეწველობას, რომელიც სანედლეულო ბაზით, ტექნოლოგიური პარკით და გასაღების ბაზრებით ძირითადად გარე კავშირებზე არის დამოკიდებული. ამასთან, ეს დარგები მეტად არიან დამოკიდებული ენერგოუზრუნველყოფაზე, რთულია მათი ტექნოლოგიური გადაიარაღება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამრეწველო პროდუქციით, განსაკუთერბით მანქანათმშენებლობის ნაწარმით, მსოფლიო ბაზარი ფაქტობრივად გაჯერებულია და მაღალია მოთხოვნები პროდუქციის ხარისხის მიმართ.

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში პერსპექტიული სფეროებია: მინერალური ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება, მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების (გრანიტი, მარმარილო, ბაზალტი, ტუფი) წარმოება, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის და მათი ნარჩენების (ციანოვანი ნატრიუმი, სპილენძის აჯასპი, საღებავები, დარიშხანი, მედიკამენტები, ანდაზიტის ფხვნილი და სხვა) წარმოება. დიდი შესაძლებლობები გაგვაჩნია ხალხური რეწვის საქონლის წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის საქმეში, ისეთების, როგორიცაა გობელენები, ხელით

ნაქსოვი ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი, ხის და ლითონის მხატვრული ნაკეთობები, ეროვნული ტანსაცმელი, სუვენირები და სხვა.

მცირე საწარმოთა საექპორტო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედების სტიმულირების ღონისძიებათა სისტემამ უნდა მოიცვას:

- დახმარება წარმოებისა და კვლევის სფეროში;

- დახმარება წარმოებული საქონლის საერთაშორისო სერტიფიცირების საქმეში;

- დახმარება ბაზრების შესწავლის, საზღვარგარეთ ოფისების და გამოფენების მოწყობასა და სავაჭრო საქმიანობის წარმოებაში;

- ხელშეწყობა სპეციალიზირებულ ბაზრობებში მონაწილეობის მისაღებად;

- ხელშეწყობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში და სხვ.

მცირე საწარმოებს ძირითადი როლი განეკუთვნებათ ქვეყნის სტრატეგიული დარგის - მომსახურების განვითარების საქმეში. გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო მომსახურების სისტემისა და ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

საერთაშორისო პროგრამების რეალიზაცია, როგორიცაა ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (თღAშEßA), აზერბაიჯანის ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირება და სხვა, მკვეთრად გაზრდის სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტს. ეს ბუნებრივია მძლავრ ბიძგს მისცემს მცირე ბიზნესის განვითარებას საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში. განსაკუთრებით გააქტიურდება საბანკო ფინანსური მომსახურება და საშუამავლო საქმიანობა, კავშირგაბმულობა და საფოსტო მომსახურება.

დიდი მომავალი აქვს მცირე ბიზნესს ტურიზმის აღორძინების მხრივ საოჯახო ბიზნესის, ტურისტული ინდუსტრიის ცალკეული დარგების განვითარების მიმართულებით.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით, საქართველოში გადმოღებული უნდა იქნას მრავალ ქვეყანაში (სამხრეთ კორეა, ჩინეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ა.შ.) წარმატებით აპრობირებული სპეციალური ეკონომიკის ზონების შექმნის გამოცდილება. როგორც ცნობილია, ამ ზონებში დაბანდებული კაპიტალი სარგებლობს საგრძნობი მხარდაჭერით და საგადასახადო შეღავათებით. აქ მთავარია მოიძებნოს ზონის, თუ ზონების სპეციფიკური, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების შესაბამისი ფორმა (ტექნოპარკები, ტექნოლოგიების დანერგვის ზონები და სხვა).

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარიმართება პირველ რიგში მომსახურების სფეროში და შემდგომ პრივატიზების პროცესის გაღრმავების კვალობაზე-მრეწველობის დარგებში. ამიტომ პრივატიზების პროცესის დაჩქარება, საკუთრების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უნდა მივიჩნიოთ უცხოური ინვესტიციების გამოყენების გაუმჯობესების მნიშვნელოვან პირობად.

კაპიტალის იმპორტის გაზრდისათვის აუცილებელია ეფექტიანი საბანკო სისტემის შექმნა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება.

საგადასახადო სისტემას განეკუთვნება განსაკუთრებული როლი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტიმულირების საქმეში.

საწარმოთა დაბეგვრის დროს კომპლექსურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადი იმგვარად, რომ საგადასახადო წნეხი იყოს გონივრული. ამიტომ, საგადასახადო კანონმდებლობის დამუშავების პირველსავე ეტაპზე აუცილებელია შედგეს დიალოგი მეწარმეებსა და მთავრობას შორის. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მცირე და საშუალო მეწარმეებს სჭირდებათ გამჭვირვალე და სტაბილური დაბეგვრის სისტემა, რამეთუ მათ უწევთ შედარებით მეტი ხარჯების მიღება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად.

მცირე მეწარმეობის დაბეგვრის იდეალური მოდელი არ არსებობს. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ განვითარებული ქვეყნების დაბეგვრის სისტემებიც კი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ყოველთვის მაღალეფექტიანობით არ გამოირჩევიან. ამასთან, საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების დროს ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდებიან. კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობის ჩამოყალიბება და განვითარება საბაზრო ურთიერთობების დაფუძნების თანმხვედრი პროცესია, რაც მოითხოვს სფეციფიკური, არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღებას, თუმცა რიგი პრაქტიკული მიდგომები, ტექნოლოგიები და პრინციპები ერთნაირი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც განვითარებულ, ისე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი სტაბილურობა, კანონმდებლობის მუდმივი ცვლილებებისაგან თავის შეკავება. მიჩნეულია, რომ საგადასახადო სისტემის გაუთავებელი ცვლილებები იწვევს სერიოზულ დაძაბულობას და დიდ ტვირთად აწვება მცირე და საშუალო მეწარმეობას. მათ არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური და საკადრო რესურსები ახალი კანონმდებლობის ასათვისებლად. ამასთან, საგადასახადო ორგანოებსაც არა აქვთ დრო და საშუალება ყოველწლიურად დაამუშაონ სათანადო ინსტრუქციები და ფორმები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. საგადასახადო სისტემის ხშირ ცვლილებას მის უგულვებელყოფამდე მივყავართ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი საგადასახადო სივრცის ჩამოყალიბებას, თანაბარი შესაძლებლობებითა და პირობებით როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეწარმეებისათვის. აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი განსაკუთრებული შეღავათების მინიჭება უცხოელი ინვესტორებისათვის ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული საგადასახადო სისტემის ობიექტურობას და ძირს უთხრის მას. იგი სამამულო მცირე და საშუალო საწარმოებს უქმნის დამატებით სიძნელეებს ჩამოყალიბება-განვითარებისა და სათანადო კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამრიგად, მცირე და საშუალო საწარმოთა მიმართ გონივრული საგადასახადო განაკვეთების შემუშავებასთან ერთად, მიზანშეწონილია, ძალისხმევა წარიმართოს, ძირითადად, იმ წინააღმდეგობების დასაძლევად, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადების ადმინისტრირებასთან.

საქართველოს ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორებია:

-სამამულო წარმოების პროდუქციის, განსაკუთრებით სამრეწველო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა;

-საწარმოთა უმრავლესობის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის შიდა რესურსების ინვესტირებას პერსპექტიულ, ექსპორტზე ორიენტირებულ სამეწარმეო პროექტებში;

-საექსპორტო პროდუქციის სერთიფიცირების და პროდუქციის ხარისხის კონტროლის სისტემების განუვითარებლობა, მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოთხოვნები პროდუქციის სამომხმარებლო და ეკოლოგიური მახასიათებლების, აგრეთვე უსაფრთხოების მიმართ;

-არასრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

-მეწარმეთა მოუმზადებლობა და გამოცდილების უქონლობა ექსპორტის სფეროში;

--ტრადიციული საწარმოო კავშირების პოსტსაბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან;

-საქართველოს საიმედოობის დაბალი საერთაშორისო რეიტინგი, რის გამოც გაძნელებულია უცხოური კრეიტებისა და ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს ექსპორტის განვითარების მიზნით.

საქართველოს ექსპორტის მდგომარეობისა და პერსპექტივების განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელია ჩამოყალიბდეს ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემა. ამ პროგრამულ ღონისძიებათა სისტემა. ამ პროგრამულ ღონისძიებათა ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ექსპორტის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი პირობების შექმნა, სამამულო ექსპორტიორებისათვის სახელმწიფოს მიერ ფინანსური, საგადასახადო, საინფორმაციო-საკონსულტაციო, მარკეტინგული, დიპლომატიური და სხვა მხარდაჭერის მექანიზმების დადგენა და განხორციელება. ამისათვის საჭიროა:

- საკანონმდებლო დონეზე გადაწყდეს საკითხი (სპეციალური კანონის მიღებით ექსპორტის რეგულირების შესახებ), რათა ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს წარმოდგენილ იქნეს ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებათა პროგრამის პროექტი;

- სისტემატურად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობანი, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის სავაჭრო-პოლიტიკური სიტუაცია და კონიუნქტურის დინამიკა, რათა სწორად განისაზღვროს ექსპორტისადმი ხელშეწყობის დარგობრივი პრიორიტეტები;

-სამამულო საწარმოთა საექსპორტო საქმიანობის მუდმივი კონტროლი და ანალიზი არსებული პრობლემებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების თავისდროულად გამოსავლენად და მხარდაჭერის ეფექტიანი ღონისძიებების განსახორციელებლად;

-ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ნორმატიული ბაზის პერიოდული ექსპერტიზა სამამულო ექსპორტზე ზემოქმედების შეფასების კუთხით;

- ექსპორტის ხელშეწყობის დარგობრივი და რეგიონული პროგრამების ღონისძიებათა შეთანხმება და კოორდინაცია;

ექსპორტიორებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება მოითხოვს რიგი სპეციალური ამოცანის გადაწყვეტას, როგორიცაა;

- საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაციული ბანკისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების სისტემის შექმნა, რეგიონალური და საზღვარგარეთული ინფრასტრუქტურით;

- ექსპორტის დაზღვევისა და დაკრედიტების მექანიზმების ამოქმედება, აგრეთვე, ეგრეთ წოდებულ საექსპორტო კრედიტების საგარანტიო უზრუნველყოფა;

- ხელშეწყობა ქართული საექსპორტო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული ოპერატიული საკითხების გადაწყვეტის საქმეში და სამამულო საწარმოთა ინტერესების დაცვა;

- ექსპორტის სტიმულირების საქმეში საქმიანი წრეების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩართვა.

საქართველოს, როგორც სრულუფლებიანი პარტნიორის ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში, მისი როლის გაზრდა საგარეო ბაზრებზე, შეუძლებელია საგარეო ეკონომიკური გაცვლის სტრუქტურისა და პროპორციების გაუმჯობესების გარეშე, მზა პროდუქციის ხვედრითი წონის ამაღლების მიმართულებით. ამასთან ერთად, ათვისებულ უნდა იქნეს თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმები – საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია, საინვესტიციო თანამშრომლობა, ინოვაციური პროექტების ერთობლივად რეალიზაცია და ა.შ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, საქართველოს საექსპორტო სტრატეგიის საფუძველი უნდა იყოს გადამუშავების მაღალი ხარისხის მქონე საქონლის, პირველ რიგში, აგროსამრეწველო პროდუქციისა და მანქანათმშენებლობის ნაწარმის ექსპორტი და მათი სახელმწიფო მხარდაჭერა. ეს დაკავშირებულია მოდერნიზაციასა და მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესებთან, მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის პოზიციების გაძლიერებასთან.

ექსპორტის გაზრდის მნიშვნელოვანი დამატებითი შესაძლებლობები იქმნება მცირე და მსხვილ საწარმოთა კოოპერაციისას კონკრეტული პროდუქციის წარმოების პროცესში. მცირე საწარმოებს შეუძლიათ შეასრულონ პროდუქციის დასავლეთის სამომხმარებლო სტანდარტებამდე მოყვანის, დიზაინისა და კომპლექტაციის სამუშაოები, მაშინ, როდესაც ხშირად ეს ოპერაციები უცხოელი შუამავლების მეშვეობით ხორციელდება. თავისთავად, მცირე და საშუალო მეწარმეობა ქვეზნის საექსპორტო შესაძლებლობების გაყრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

საექსპორტო სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტად მიგვაჩნია საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების გამოზენება. ამჟამად საქართველოსათვის ამ თანამშრომლობის ძირითად ფორმად გვევლინება საგარეო სავაჭრო ოპერაციების განხორციელება. ბოლო პერიოდში გავრცელება ჰპოვა ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა უცხოური ინვესტიციების მოყიდვა და ერთობლივი მეწარმეობა თანამშრომლობა კომპენსაციურ საწზისებყე საკრედიტო შეთანხმებანი მოწოდებული ნედლეულის გადამუშავება სალიცენყიო ვაჭრობა საერთაშორისო ლიზინგი ინჟინერინგი სანაპირო

და საზღვრისპირა ვაჭრობა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა საერთაშორისო ტურიზმი და სხვა.

მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ეკონომიკური თანამშრომლობის ოცზე მეტ ფორმა, რომელთაგან უმრავლესობა გამოიყენება კომბინირებული სახით. თითოეულს აქვს თავისი ორგანიზაციული და ეკონომიკური თავისებურებანი, რომელთა სწორად გამოყენებას საქართველოს მხარისათვის კონკრეტულ სიტუაციებში მაღალი უკუგების მოტანა შეუძლია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა მათ მიმართ მოიხსნას ერთგვარი იდეოლოგიზირებული მიდგომა, რამეთუ ყველა ისინი, სათანადო საკანონმდებლო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვით. ამ მიმართულებით უნდა ვიფიქროთ ერთობლივი მეწარმეობის განვითარებაზე უშუალოდ წარმოების სფეროში, რამდენადაც ცნობილია, რომ საზღვარგარეთელი პარტნიორები უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ დააბანდონ სახსრები მომსახურების ან სანედლეულო რესურსების მოპოვების სფეროში.

ექსპორტის სტიმულირების ეკომომიკური ბერკეტები: მოცემული ღონისძიებების ძირითად შინაარსს შეადგენს საწარმოთა ხელშეწყობა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მოზიდვითა და გამოყენებით სამი ძირითადი მიმართულებით ექსპორტის დაკრედიტება, საექსპორტო კრედიტების დაზღვევა და გარანტიების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური ხელშეწყობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მობილიზაციის ყველაზე მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ექსპორტის სტიმულირების შემოთავაზებული ღონისძიებები სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებთან და მოთხოვნებთან, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ექსპორტისადმი სახელმწიფო ხელშეწყობის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული წესი.

ამჟამად, გამოკვლევის მიხედვით, საქართველოს ექსპორტიორთა 2/3-ზე მეტი მიიჩნევს, რომ კრედიტებზე ხელი ძნელად მიუწვდებათ, რამდენადაც კომერციული ბანკები სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკას საგარეო ბაზრებზე, ეს მაშინ, როდესაც განვითაერბულ ქვეყნებში საექსპორტო გარიგებათა 70-80% დაკრედიტებას ექვემდებარება, ხოლო ინვესტიციური საქონელი 100 %-ითაა უზრუნველყოფილი კრედიტებით.

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით საწარმოთა სათანადო დონით პირდაპირი სახელმწიფო ფინანსური დახმარება შეუძლებელია. ამიტომ ექსპორტისადმი ფინანსური ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს ექსპორტის ხელშემწყობი ორგანიზაციების მიერ საგარანტიო ვალდებულებათა გაცემით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ბანკებზე, რომლებიც ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებს უზრუნველყოფენ საკრედიტო რესურსებით.

ჩვენს მიერ მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია და დანერგილია პრაქტიკაში საწარმოთა მიმართ კომერციული ბანკების წინაშე თავდებად გამოსვლის მექანიზმი: კერძოდ, განსაზღვრულია თავდებობის პირობები, მოცულობა, ვადები, თავდებობის შესახებ საწრმოთა განცხადების მიღებისა და განხილვის პროცედურა,

მეწარმეობის ხელშემწყობ სახელმწიფო ორგანოს, ბანკსა და მსესხებელს შორის თავდებად გამოსვლის შესახებ კონტრაქტის გაფორმების და შესრულების სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები.

ანალოგიური სამუშაოებია ჩატარებული საწარმოთა ექსპორტის ფინანსური ხელშეწყობის შემდეგი ქმედითი ფორმის - საბანკო სესხის ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების ხაზით. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი მეთოდური სამუსაოები სხვა ქვეყნების (თურქეთი, ჩეხეთი, ესტონეთი და სხვა) გამოცდილების გაზიარებით, საქართველოში თავდებობისა და სუბსიდირების განმახორციელებელი სპეციალური საფინანსო ინსტიტუტის დასაფუძნებლად.

საექსპორტო კრედიტების დაზღვევისა და სახელმწიფო გარანტიების გასაცემად წინადადება შემოგვაქვს შეიქმნას საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სადაზღვევო საზოგადოება. ვფიქრობთ ეს საზოგადოება სადაზღვევო კომპანიებს შორის რისკების გადანაწილების მექანიზმის გამოყენებით შეძლებს გაზარდოს საექსპორტო კრედიტების დაბრუნების მაჩვენებელი, აგრეთვე, უზრუნველყოს საკუთარი სახსრების შევსება და შემდგომ მათი გამოყენება ექსპორტის დაზღვევისათვის მწირი სახელმწიფო დახმარების პირობებში და მის გარეშე.

ექსპორტისათვის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი მომართულებაა საგადასახადო რეგულირების ღონისძიებათა გამოყენება. უპირველესად, ეს ეხება ექსპორტის დღგ-საგან განთავისუფლების (ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა) მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედებას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეს შეღავათი არსებობს მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად, საწარმოები საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის სეძენილ ნედლეულსა და მასალებში გადახდილ დღგ-ს თანხას უკან ვეღარ იბრუნებენ, ან უკეთეს შემთხვევაში იგი ნაწილობრივ ჩაითვლება გადასახადებში. მეწარმეები აყენებენ წინადადებას ამ დაუბრუნებელ „გაყინულ'' სახსრებს დაერიცხოს პროცენტი.

ექსპორტის საგადასახადო სტიმულირების ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია: ექსპორტიორთა განთავისუფლება საექსპორტო საქონლის მიმართ განხორციელებულ რეკლამაზე გადასახადისაგან; სახელმწიფო ბაჟის განაკვეთის შემცირება საქონლის ექსპორტთან დაკავშირებული სასამართლო საქმის წარმოებაზე.

შემდგომში, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე, შესაძლებელი უნდა გახდეს საზღვარგარეთ საექსპორტოდ მიწოდებული პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა (გამსაღებელი ფირმები, დილერული ქსელი, სერვისის ცენტრები და ა.შ.).

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს. ეს განპირობებულია მრავალი გარემოებით, რომელთაგან აღსანიშნავია:

- უმუშევრობის მაღალი დონე. ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ადგილი აქვს სახელმწიფო საწარმოებიდან სამუშაო ძალის მასობრივად გამოთავისუფლებას. ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იძენს რეგიონებში, რომლებისთვისაც ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის პირობებში, ძირითადად, ცალმხრივი სამეურნეო სპეციალიზაცია იყო დამახასიათებელი. ამდენად, დღის წესრიგში დგება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პრობლემა, რათა შეჩერებულ იქნას ჭარბი

სამუშაო ძალის გადადინება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც გამოირჩევა საქმიანი აქტიურობის ბუნებრივად მაღალი დონით;

-სოციალური პრობლემების სიმწვავე, რაც გადაუდებელს ხდის მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების დონის მკვეთრად ამაღლების ღონისძიებების გატარებას;

-საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შედარებით ხელსაყრელი პირობები: ჭარბი რესურსები, კვლიფიციური სამუშაო ძალა, საკუთარი ბიზნესის ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებლობის მეტი შესაძლებლობები და სხვ.,

რეგიონებში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებად მიჩნეულ უნდა იქნას მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის სახელმწიფო ორგანოს (პირობითად ცენტრი) წილობრივი მონაწილეობა შესაბამისი რეგიონალური და მუნიციპალური პროგრამების დაფინანსებაში.

უნდა ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა, რომელიც მოიცავს რეგიონალურ და მუნიციპალურ ფონდებს, სააგენტოებს, საინფორმაციო-საკონსულტაციო, სასწავლო ცენტრებს, ბიზნეს-ინკუბატორებს, ტექნოპარკებს, სალიზინგო კომპანიებს და სხვ. შესაძლებელია, რომ მათი დაფუძნება განხორციელდეს მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ორგანოთა მონაწილეობით. ცენტრის მეშვეობით უნდა დაფინანსდეს მნიშვნელოვანი რეგიონალური პროგრამები და სამეწარმეო პროექტები.

თანამშრომლობა ამ ორგანოებსა და რეგიონებს შორის დამყარებულ უნდა იქნას შეთანხმებაზე რეგიონის ადმინისტრაციასა და რეგიონალურ ფონდს შორის პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების წესის შესახებ. შეთანხმებით განისაზღვრება მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ფედერალური (ცენტრალური) და რეგიონალური ბიუჯეტების სახსრების ეფექტიანი გამოყენების წესი.

ცენტრს უნდა განესაზღვროს ფინანსური სახსრების მოზიდვისა და განთავსების ფუნქცია. რეგიონალურმა ადმინისტრაციამ თავის თავზე უნდა აიღოს ასიგნებული სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები. რეგიონალური ფონდი განახორციელებს უშუალო კონტროლს პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციაზე. შეთანხმების საფუძველზე გაფორმდება რეგიონის ადმინისტრაციის გარანტია, რომლის მიხედვითაც იგი კისრულობს პასუხისმგებლობას ცენტრის ფინანსური რესურსების მიზნობრივად გამოყენებაზე. ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად გადავწყვიტოთ მცირე და საშუალო საწარმეობზე გაცემული კრედიტების საგარანტიო უზრუნველყოფის პრობლემა. როგორც წესი, მათ არ გააჩნიათ საკმარისი საგირავნო ქონება.

ცენტრსა და რეგიონებს შორის პასუხისმგებლობის გამიჯვნისა და მათი ძალისხმევის გაერთიანების ეს სქემა მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში. იგი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები, უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერისისათვის გამიზნული სახსრები და ფინანსური რესურსები რეგიონებში გახდეს ხელმისაწვდომი მეწარმეებისათვის.

გადაწყვეტილების მიღება რეგიონების დაფინანსების შესახებ უნდა დაეფუძნოს გაანგარიშებებსა და პროგნოზებს რეგიონალური რისკების შესახებ. ამისათვის, მიზანშეწონილია დაინერგოს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის შემსრულებელთა საკონკურსო შერჩევის სისტემა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, რათა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე ვიმოქმედოთ მიზანმიმართულად, ზეგავლენა მოვახდინოთ რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე ინვესტიციური პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის მეშვეობით.

მსოფლიო პრაქტიკით რეკომენდებულია ცენტრის მონაწილეობით ჩამოყალიბდეს რეგიონალური კონსალტინგური სტრუქტურები-მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სააგენტოები. ისინი დახმარებას გაგვიწევენ რეგიონალური პროგრამებისა და მეწარმეთა სწავლების პროექტების შემუშავებაში, გასწევენ საკონსულტაციო მომსახურებას სამეწარმეო საქმიანობისა და უახლესი ინფორმაციული სისტემების სფეროში.

ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო საწარმოთა მომსახურე სპეციალიზირებული ლიზინგური კომპანიების ქსელის შექმნას.

ცენტრმა მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოთა ინფორმაციული და ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის პროექტების რეალიზაციაში, ხელი შეუწყოს მათ ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და გამოგონებათა რეალიზაციაში, დაეხმაროს გამოფენების მოწყობასა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემაში.

ერთიანი ინფორმაციული ქსელის შექმნა მნიშვნელოვნად გაზრდის ცენტრის, რეგიონალური ფონდებისა და ადმინისტრაციის, სააგენტოებისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სხვა სტრუქტურების შესაძლებლობებს პარტნიორებისა და ინვესტორების შერჩევის საქმეში. რეგიონებში უნდა ჩამოყალიბდეს საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც აღიჭურვებიან კომუნიკაციის საშუალებებითა და ჩაერთვებიან საერთაშორისო ინფორმაციულ ქსელში.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის გააზრება მართლმადიდებლური მრწამსის მიხედვით

ნიკო ჩიხლაძე – ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი

ჩრდილოვან ეკონომიკას და მის პრობლემებს კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იცნობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ინტენსიურად შეისწავლება ბოლო ათწლეულების მანძილზე, ეკონომისტთა დიდი ნაწილისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმვალობაში "ჩრდილში" იმყოფებოდა. "ჩრდილოვანი ეკონომიკის" მრავალფეროვნების გამომხატველია თუნდაც მისი განსხვავებული ტერმინებით მოხსენიება: "Шадоw Еcономy", "Влацк Еcономy" ("შავი ეკონომიკა") "Сецонд Еcономy " ("მეორე ეკონომიკა"), "Теневая Экономика" და სხვა.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ამ თემამ დიდი პოპულარობა შეიძინა და როგორც უცხოურ, ისე სამამულო ლიტერატურაში მისი მრავალფეროვანი განსაზღვრებანი დამკვიდრდა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ვ. ტანზი ჩრდილოვან ეკონომიკას განსაზღვრავს, როგორც "ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) ნაწილს, რომელიც გამოირიცხება (ან შემცირებულია) ანგარიშგებაში და შესაბამისად არ აისახება ოფიციალურ სტატისტიკაში".[4] ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ "ჩრდილვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქმიანობის აღურიცხავ და კანონსაწინააღმდეგო სახეების ერთობლიობას. მისთვის დამახასიათებელია ფარული, საიდუმლო "მოღვაწეობა", ხშირად კრიმინალური ხასიათით, რომელიც არ არის რეგისტრირებული და არ აღირიცხება ოფიციალური ორგანოების მიერ".[5]

როგორც აღინიშნა, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონეს შორის შეიძლება ითქვას არსებობს მჭიდრო კავშირი. კორუფცია (ცორრუპტიო- მოსყიდვა) არის საჯარო ძალაუფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება პირადი, მესამე პირის ან ჯგუფის სარგებლობის მიღების მიზნით. თანამედროვე განმარტების იდენტურია სულხან-საბასეული განმარტებაც – ქრთამი, ანუ "საცოდავი ძღვენი" სხვა არაფერია, თუ არა თანამდებობის პირისათვის მოსასყიდად მირთმეული ფული (ძღვენი), საჩუქარი ან გასამრჯელო რაიმე სამსახურის გაწევის მიზნით.[6]

---

[4] იხ. Сакс Дж., Ларрен Ф. Макроэкономика. Глобальный подход. М.: Дело, 1996, 273 с.

[5] ოთინაშვილი რ., ჩრდილოვანი ეკონომიკა. კორუფცია თბ. 2002. გვ. 44.

[6] ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ურთიერთმიმართების ეკონომიკური ასპექტები უფრო დაწვრილებით იხ. ჩიხლაძე ნ., "ჩრდილოვანი ეკონომიკა – რეგიონული ასპექტები". ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005. -225 გვ.

საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბდა თვითმყობადი ეროვნული ტრადიცია შრომასთან, საკუთრებასთან, განათლების მიღებასთან, სიმდიდრის დაგროვებასთან

დამოკიდებულებაში, რაც მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი კრიტერიუმების შერწყმას ეფუძნებოდა. სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მსოფლმხედველობრივი და თერიული საფუძველი საქართველოში იყო წმინდა წერილი და მასზე დაფუძნებული "სახლმშენებლობა" (ეკონომიკა). ეს უკანასკნელი უპირველესად მოიაზრებოდა, როგორც მეცნიერება პატიოსანი შრომის, შინამეურნეობებისა და საერთოდ, ეროვნული მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმართვის, სიყვარულით შექმნისა და უპოვართა მხარდაჭერის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე.

სამწუხაროდ, ეკონომიკურ და საერთოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ათწლეულების მანძილზე მიიჩქმალა ქრისტიანულ დოგმატზე დაფუძნებული ქცევის მოდელი. თავის მხრივ, ეს იყო შედეგი მეცნიერების სახელით რელიგიის უარყოფისა, მეცნიერებასა და რელიგიას შორის ჰარმონიის რღვევის პროპაგანდისა.

სამყაროს დასაბამიდან ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვა – იუდა ისკარიოტელის მიერ იესოს გაცემაც ქრთამს – ოცდაათ ვერცხლს უკავშირდება. იუდამ სალაროს მცველად ყოფნის დროსაც გამოიჩინა სწრაფვა მითვისებისა და ჩრდილოვანი ოპერაციების წარმოებისა. სწორედ "ვერცხლისმოყვარეობა" და არა იდეური სიძულვილი ან სხვა ფაქტორი გახდა იესოს გაცემის საფუძველი და სტიმული (!). მექრთამე იუდამ ინანა და ფული დააბრუნა, რომელიც როგორც "სისხლის საფასური" საგანძურშიც არ შეინახეს და გარეშეთა სასაფლაოდ მინდორი შეიძინეს (შემდგომში "სისიხლის მინდორი"). თვით იუდას აღსასრულიც დამაფიქრებელია – თვითმკვლელობა, როგორც ანგარების მოყვარული, მომხვეჭელი ბუნების და რაც მთავარია ქრისტეს გამყიდველის აღსასრული.[7]

ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის კვლევის სიახლის მიუხედავად, იგი, როგორც ყველა ზოგადსაკაცობრიო პრობლემა, არახალია მართლმადიდებლური მრწამსისათვის: "ვინც იპარავდა, ნუღარ მოიპარავს. უკეთესია იშრომოს, თავის ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულთათვის მისაცემად" (პავლე, ეფეს. 4,28). ამ შეგონებაში ორი მთავარი ეკონომიკურ-მორალური ამოცანაა

დასმული: სარჩოს მოპოვება არა მხოლოდ საკუთარი ყოფიერებისთვის, არამედ მოყვასისათვის, გაჭირვებულთათვის, უპოვართათვის.[8] მხოლოდ პატიოსანი, ღვთივსათნო საქმიანობის (შრომის) შედეგად მოპოვებული საზრდოა ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედი: "ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!" (ფსალმ. 127).

შეურიგებლობა სიზარმაცისა და სარჩოს დაუმსახურებლად მოპოვებისადმი ამავდროულად ერთგვარი გამოწვევაცაა კორუფციისა და უშრომელი შემოსავლისადმი, ათასგვარი მაქინაციებით, მოტყუებით, ქრთამის აღებ-მიცემობით საქმის კეთებისადმი. წმინდა პავლე მოციქული ცალსახად გამოხატავს სიმკაცრეს და შეუვალობას ამ საკითხისადმი: "ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს" (2 თეს., 3,10).[9]

უპირველესია რწმენა, ღვთის სიყვარული და არა "ვერცხლისაკენ" (იგულისხმება ფული, ოქრო და სხვა მატერიალური აქტივები) ლტოლვა. უფლის მიმართვა მკაფიოდ გამოხატავს ამ დამოკიდებულებას: "ვაი თქვენ ბრმა წინამძღოლნო, რომლებიც ამბობთ: ვინც ტაძარს დაიფიცებს, ეს არაფერია; ხოლო ვინც ტაძრის ოქროს დაიფიცებს, ის ვალდებულიაო. უგუნურებო და ბრმებო! რა უფრო დიდია ოქრო თუ ტაძარი, ოქროს რომ წმენდს?" (მათე, 23, 16-17).

აღმსარებელმა მორწმუნემ მოძღვრის წინაშე უცილობლად უნდა აღიაროს ისეთი ცოდვები, როგორიცაა ანგარებით, მტაცებლობით (სხვისი ქონებისა), მითვისებით რაიმე არა კუთვნილისა, სიხარბით, სიმდიდრის ტრფიალით, ქრთამის მიცემ-მიღებით, ყალბი ვექსილით ფულის აღებით, ყალბობით (ყალბად მუშაობით), ძღვნისმოყვარეობით და ხელობის უსწავლელობით ჩადენილი ცოდვები. ამქვეყნიური სიკეთეებისადმი მისწრაფება ადამიანს ვნების მონად აქცევს: "არ უნდა ისურვო ისეთი რამ, რომელსაც ოდესმე ვეღარ მოიხმარ და რომლის მუდმივ ფლობასაც ვერ შეძლებ" – ქადაგებს წმ. ნილოს სინელი.

"ვერცხლისმოყვარეთა" მხილება-შენდობა და მათთვის სწორი გზის მიცემა მართლმადიდებლობის მრწამსის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ნიშანდობლივია, რომ გადასახადის გადახდა (საგადასახადო ადმინისტრირება) და საბაჟოს გავლა ერთგვარად "იოლადსაცდური" საქმიანობის რიგს განეკუთვნებოდა და არცთუ იშვიათად უკავშირდებოდა "თამაშის აკრძალულ წესებს". ამის დასტურია, რომ მებაჟე

---

[1] იხ. ჩიხლაძე ნ., "ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ", ჟურნ. "ეკონომიკური პროფილი", №3, 2007.

[9] ღვთისმგმობმა მარქსიზმის კლასიკოსებმაც "ბევრი კვლევის" შედეგად იგივე დასკვნა ("ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს") გამოიტანეს, თუმცა 19 საუკუნის შემდეგ (!)

ფაქტობრივად ყოველთვის მოიხსენება ცოდვილთა გვერდით ან სინონიმად: “როდესაც მის სახლში დაჯდა, იესოსთან და მის მოწაფეებთან ერთად იჯდა ბევრი მებაჟე და ცოდვილი, რადგან მრავალნი იყვნენ იქ, ვინც გაჰყვა მას”. (მარ. 2,15), ან “ხოლო თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის წარმართი და მებაჟე” (მათ. 18,17) ან კიდევ “ხოლო თუ თქვენ თქვენი მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასე არ იქცევიან?” (მათ. 5,46).

გავიხსენოთ, რომ იერიქონში ჩასულმა იესომ დაინახა ლეღვის ხეზე ასული ზაქე და მიხვდა, რომ ეს იყო სული, რომელიც გადარჩენას ითხოვდა. უფალმა იხმო ზაქე და ყველასათვის მოულოდნელად მის სახლშიც დარჩა. ზაქე უფლის წინაშე გულწრფელად გამოთქვამს სინანულს: “აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და თუკი ვინმესთვის რაიმე გამომიძალავს, ოთხმაგად მივაგებ” (ლუკ. 19,8). ზაქეს ამქვეყნიური და მატერიალური ფაქტობრივად არაფერი აკლდა. ცოდვილ სულს მხოლოდ ადამიანური სითბო, სიყვარული და ღვთის შეწევნა ესაჭიროებოდა. ზაქემ თავისივე სურვილით რამდენიმეგზის დაუბრუნა მათ ვისაც გამოსძალა, გამოისყიდა პირდაპირი გაგებით ძველი დანაშაული, მაგრამ ამით ახალს კი არ გაუხსნა გზა, არამედ შეიყვარა მაცხოვარი და “ზეციური მარგალიტების” შესაგროვებლად უფლის გზას დაადგა – საეკლესიო გადმოცემებით ყოფილი მებაჟე შემდგომში ერთ-ერთი ოლქის ეპისკოპოსი გახდა (ნიშანდობლივია, რომ მათე – მოციქული იესოსი, პირველი სახარების ავტორი, რომელიც მოწამებრივად აღესრულა, ასევე მებაჟე (მეზვერე) იყო). წრფელ სინანულს, რომელიც “კეთილმსახურთაგან” მოდის, უფალი ყოველთვის იღებს: “უღვთოთა ამქვეყნიური ქონება მთლად რომ გასცენ, მათთვის უსარგებლოა. ვინც ცოცხალი ღვთის მტერი იყო, ცხადია ის გარდაცვლილიც არ არის” (წმ. მოციქულთა პეტრეს და პავლეს განაწესები, 14.).

ცოდვების გულწრფელი მონანიება “ვერცხლისმოყვარესაც” შეუძლია. ტაძარში სალოცავად შესულ ფარისეველსა და მებაჟეს შორის, რომელსაც ფარისეველი მძარცველების, უსამართლო და მრუში ადამიანების გვერდით მოიხსენიებს, უფლისათვის უფრო მისაღები ხდება მებაჟის გულწრფელი მონანიება, რომელიც “მოშორებით იდგა და ვერც კი ბედავდა რომ ცისკენ მიეპყრო თვალი, მკერდში მჯიღს იცემდა და ამბობდა: “ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი” (ლუკ. 18, 10-14).

კაპერნაუმში მისვლისას უფალი ემორჩილება გადასახადის გადახდის აუცილებლობას და რომ არ აცდუნოს დიდრაქმის (გადასახადის) ამკრებნი (ქრთამისაკენ რომ არ უბიძგოს, მაგალითად, გადასახადის ხელოვნური შემცირების ან სხვა მანიპულირების მიზნით-ავტ.), პეტრეს ავალებს სტატირის (ფულის) მოტანას და საგადასახადო ვალდებულების გასტუმრებას. კეისარი, იგივე საერო (მიწიერი) მმართველი ქვეყნის სახეა, ამიტომ უპრიანია მისცე მას, თუკი ამით არ უარყოფ და ეწინააღმდეგები უფალს.

მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევენ ჩრდილოვან ოპერაციებს "უსამართლო შენაძენის მოხვეჭას" წმინდა მამებიც. წმინდა ეფრემ ასური გმობს მექრთამეობას, არაკეთილსინდისიერად ფულის მითვისებას და მათ საქმიანობას სისხლის დამქცევთა მძიმე ცოდვასთან აიგივებს: "ვაი უკეთურთა, ქრთამით გამამართლებელთა. ვაი სხვისი საკუთრების გამფლანგველთა. ვაი მუშაკისათვის გასამრჯელოს წამრთღმევთა, რამეთუ ასეთები იგივე არიან, რაც სისხლის დამქცევნი". წმინდა მამას სასტიკი მსჯავრი გამოაქვს ასეთთა მიმართ: "ვინც ძარცვა-გლეჯით შეურაცხყოფდა ღმერთს და ფარავდა თავის საქმეებს, ჩაგდებულ იქნება უკუნ წყვდიადში, სადაც სხივიც კი არაა სინანულისა... ვინც ძარცვავდა და სხვებს ავიწროებდა და უსამართლო შენაძენით თავის სახლს ქონებას მატებდა, შეუბრალებელი დემონები თავისთან წაათრევენ."[10]

მართლმადიდებლობა არც ეშმაკისაგან მოვლინებულ თანამდებობის ბოროტად გამოყენების საფრთხეს და აქედან გამომდინარე შესაძლო სავალალო შედეგებს ივიწყებს, მათ შორის ღვთისმსახურთა მიმართაც: "თუ ვინმე ეპისკოპოსმა ფულით შეასრულოს ხელდასხმა და ამგვარად ვაჭრობის საგნად აქციოს მადლი, რომელიც არ იყიდება და ფულით ხელი დაასხას ეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, მღვდლებს, დიაკვნებს, ან ვისმე სხვას, ვინც სასულიერო წოდებას ეკუთვნის, ან ანგარების მიზნით ფულით დააყენოს მნე (ეკონომოსი), ან ქადაგი, ან დეკანოზი, ან სხვა ვინმე კანონით განწესებული, ვისაც ამის ქმნა ემხილოს, მას ჩამოერთვას მისი ხარისხი (პატივი). ხელდასხმულნი ან დანიშნულნი ამ გზით ნურაფერს შეინარჩუნებენ ასეთი ხელდასხმისაგან ან დანიშვნისაგან, არამედ ჩამოერთვათ მათ პატივი და მოვალეობა, რომელიც ფულით მიიღეს. ხოლო ვინც ასეთი საძაგელი და უწესო ვაჭრობის შუამავალი იქნება, განიკვეთოს მღვდლობისაგან, ხოლო თუ ერისკაცი ან მონაზონი

[10] წმინდაეფრემ ასური, "ტანჯვათა სხვადასხვაგვარობაზე" (კრებულში "ჯოჯოხეთი და სამოთხე", თბ. 2004.)

იყოს, შეჩვენებულ იქნეს". ნიშანდობლივია, რომ ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება დასაწყისშივე, მეორე და მესამე მუხლებში იხილავს და გმობს "ვერცხლისმოყვარეობის" ამ საფრთხეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტობრივად "მეორე ეკონომიკის" ან "თეთრსაყელოიანთა ჩრდილოვანი" ეკონომიკის ფარული საქმიანობის ამკრძალველი ნორმების შემოღება ეპოქალურ საჭიროებას წარმოადგენდა. იგივე ძეგლის მესამე მუხლში ასევე იკრძალება არალეგალური შემოსავლებით ქონების მიღება და ფლობა, რომელიც "არაწესიერი შესაძინელის", "ვერცხლისმოყვარეობის გამო ქონების განგების" სავალდებულო ნორმებთანაა დაკავშირებული. მათი დარღვევა საკმაოდ მძიმე ვერდიქტის საფუძველია – დასჯა საეკლესიო განკანონებით.[11]

მსოფლიო VI საეკლესიო კრების კანონები[12] კიდევ უფრო აკონკრეტებენ სასულიერო პირის კომერციულ საქმიანობასთან დამოკიდებულებას. მეცხრე მუხლის მიხედვით ასეთ პირებს არ აქვთ უფლება სავაჭრო სახლი ჰქონდეს, "ვინაიდან თუკი მას საერთოდ აკრძალული აქვს შესვლა ამგვარ სახლში, რამდენად უფრო უწესოა და შეუფერებელი მისთვის სხვების მომსახურება დუქანში. თუ ვინმე მოიმოქმედებს ამას, ან უნდა შეწყვიტოს ეს მოქმედება, ან უნდა განიკვეთოს".

ნიშანდობლივია, რომ XII საუკუნის უმნიშვნელოვანესი იტორიული წყარო "რუის-ურბნისის საეკლესიიო კრების ძეგლისწერა" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩრდილოვან ოპერაციებს, ქრთამს, უწესო აღებ მიცემობას, განსაკუთრებით სასულიერო პირთა მიმართ. მეხუთე მუხლი განმარტავს: "ქრთამისა და საფასურის შესახებ, რომელსაც ხელდამსხმელნი მიიღებენ ხელდასხმულთაგან... განვსაზღვრავთ, რომ ასეთი უნდა ჩამოშორდეს ეკლესიას და მას უნდა აეკრძალოს მღვდლობა თავის მაკურთხებელთან ერთად... ნუ მიიღებენ ნურაფერს ნურც ხელდასხმამდე, ნურც ხელდასხმის დროს, ნურც ხელდასხმის შემდეგ, ნურც ქრთამს, ნურც ძღვენს, ნურც ევლოგიას".

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის მოკრძალებული კვლევა მართლმადიდებლური მრწამსის ჭრილში შემდეგი დასკვნების საშუალებას იძლევა:

---

[11] "დიდი სჯულის კანონი". თბ. 2007, გვ. 53.

[12] სრულად "კონსტანტინეპოლის სამეფო გუმბათიან პალატაში ჩვენი კეთილმსახური და ქრისტესმოყვარე მეფის იუსტინიანეს ზეობაში შეკრებილი წმინდა მამების კრების კანონები"

ა) “არა იპარო” – მოსეს ეპოქიდან მოკიდებული ღაღადებს მერვე მცნება. იგი გულისხმობს არა მხოლოდ ღვთისაგან პარვას, არამედ მიწიერი ფასეულობებიდან გამომდინარესხვათა ქონების მითვისებას, მომხვეჭელობას, სახელმწიფოს და ბიზნეს პარტნიორთა მოტყუებას და სხვა საცდურ საქმიანობას.

ბ) იუდა ისკარიოტელის მიერ მაცხოვრის გაცემა ქრთამს, “ვერცხლისმოყვარეობას” უკავშირდება, რაც იესოს გაცემის საფუძველი და სტიმული გახდა. ამავე დროს იუდა, როგორც გამყიდველი, ქრისტიანთათვის მრწამსის, მეგობრობის, სპეტაკი ურთიერთობის ფულზე “გაცვლის” (ქრთამის) სამარცხვინო სიმბოლოდ იქცა.

გ) მართლმადიდებლური მრწამსის დამოკიდებულება მარტივად და გულშიჩამწვდომად არის ასახული პავლე მოციქულის ნააზრევში: “ვინც იპარავდა, ნუღარ მოიპარავს. უკეთესია იშრომოს, თავის ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულთათვის მისაცემად”

დ) გადასახადის გადახდა (საგადასახადო ადმინისტრირება) და საბაჟოს გავლა იმდენადაა გაიგივებული “იოლადსაცდურ” საქმიანობასთან, რომ მებაჟე ფაქტობრივად ყოველთვის მოხსენიება ცოდვილთა გვერდით ან სინონიმად.

ე) რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ჩვენთვის, მიწიერთათვის, ქრთამის მოყვარული, “ქრთამის მქმნელი” ბოლომდე არასდროსაა განწირული: ამის ნათელი დადასტურებაა მეზვერე ზაქეს შენდობა იესოს მიერ, ცოდვილი სულის მხარდაჭერა, რაც ღვთის გზაზე მისი დადგომის მიზეზი გახდა;

ვ) თვით უფალიც ემორჩილება გადასახადის გადახდის სავალდებულობას. იგი ერიდება კაცთა (დიდრაქმის (გადასახადის) ამკრებთა) ცდუნებას და პეტრეს ავალებს სტატირის (ფულის) მოტანას და საგადასახადო ვალდებულების გასტუმრებას.

ზ) განსაკუთრებით ნეგატიურია მართლმადიდებლური მრწამსის დამოკიდებულება ღვთისმსახურთა “ვერცხლისკენ ლტოლვის” მიმართ: “არაწესიერი შესაძინელი” ცალსახად იგმობა და შესაბამისი მკაცრი ნორმების დარღვევა საეკლესიო განკანონებით ისჯება.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომის ცალკეული ეპიზოდები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან, თუ რაოდენ ნეგატიური შედეგები შეიძლება მოუტანოს ინდივიდს, საზოგადოებას “ვერცხლისმოყვარეობის” სენმა, რის შესახებაც ათეული

საუკუნეების წინ გვაფრთხილებდა სახარება, დიდი სჯულის კანონი, წმინდა მოციქულთა წერილები და სხვა უნიკალური მართლმადიდებლური წყაროები.

მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებლურ სფუძვლებს და საზოგადოების სამეურნეო სისტემის განვითარების პრინციპებს აქვთ უნივერსალური ხასიათი და სწორედ ისინი უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებას, მის განვითარებას და საზოგადოდ, სახელმწიფო მმართველობას უახლოეს ათწლეულებში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.
2. "დიდი სჯულის კანონი". თბ. 2007.
3. "ჯოჯოხეთი და სამოთხე" (მთარგმნელი და შემდგენელი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი), თბ. 2004.
4. ჟურნ. "კარიბჭე", 22, 2007; 24, 2007.
5. ჩიხლაძე ნ., "ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ", ჟურნ. "ეკონომიკური პროფილი", 3, 2007.
6. "მდიდრები და ღარიბები" (შემდგენელი გალინა ხარებაშვილი), თბ., "ხარება", 2006.
7. Кандалинцев В., Бизнес во Христе. Эльверсия, წწწ.სობორ.ვინცჰი.რუ

Nicko Chikladze

Some questions on shadow economics and their consideration from dogmatical Orthodoxy faith

Sacred Letter and other unique Orthodoxy sources always served as foundation in order to direct economical efforts. They presented world outline and theoretical basics in Georgia. During the ages in this country economics was comprehended as science about honest labour, housekeeping and about national economics in general. Main principles always were: to create with love, to support beggars, to direct business with own forces. Unfortunately for decades were lost the model of action, based on Christian dogmas. So, separate episodes of this work are creating definite meanings about those negative consequences that bring greediness and cupidity to individuals and to society. Sacred Letter, Testament and other unique Orthodoxy sources for ages warn about this.

According to our minds, Orthodoxy basical ideas and economical principles have unique character and right they must serve as foundation for Georgian economics, and State management in general.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის გააზრება მართლმადიდებლური მრწამსის მიხედვით

Нико Чихладзе

Некоторые вопросы теневой экономики в свете православных ценностей

В статье изложена некоторые основные аспекты о синтезе христианской веры и экономических отношении. Главный вопрос размышление олицотворения высшей любви в таких понятиях, как рынок, собственность, капитал, фирма, менеджмент и т. д. Считается необходимым найти связь между духовными истинами, составляющими измерения поля бытия ("Сия есть заповедь Моя, да любите друг друга, как Я возлюбил вас." Иоан. 15:12), и экономическими

принципами, описывающими земную сторону производительной сферы, т. е. необходимо найти экономические понятия, выражающие и конкретизирующие общие заповеди любви в области экономики, подобно тому как десять заповедей выразили и конкретизировали общие заповеди в области преимущественно личных отношений. Автор предлагает осмысление основных заповедей в призме экономических отношений и предпринимательской деятельности человека. Для христианина-предпринимателя провозглашение принципа синтеза веры и прикладной экономики означает большую ответственность, поэтому к такому ответственному шагу нужно серьезная духовная готовность (И так во всем, как хотите, чтобы с вами поступали люди, так поступайте и вы с ними. Матфей 7:12).

რამაზ ნამიჭეიშვილი

ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის ძირითადი პრინციპები ქუთაისში

ზოგადი ნაწილი

ადამიანის დანიშნულება არის შემოქმედება (რაც მეტი გიკეთებია, მით მეტი გიცხოვრია- იმანუელ კანტი). ეს იქედანაც ჩანს, რომ ღმერთი უზენაესი შემოქმედების სიმბოლოა.

შემოქმედებისთვის საჭიროა კაპიტალი, რომელშიც იგულისხმება ბუნებრივი სიმდიდრეები, ხელოვნურად შექმნილი ფასეულობები (არტეფქტები) და ინვესტიციური ფონდები. ამდენად არის კაპიტალი შემოქმედების მატერიალური საფუძველი (კაპიტალის მეტამორფოზაც მასშია გათვალისწინებული).

მეწარმეობრივი უნარი არის ადამიანის ცოდნა და ნება, რომელიც მას წარმოებისა და მომსახურების იმპულსებს აძლევს. მასში მოცემულია ახალი იდეების მოფიქრება, მათი მატერიალიზაცია და საწარმოო გავრცელება თვითინიციატივისა და თვითრეალიზაციის საფუძველზე.

პირობები არის გარემო, რომლებიც შემოქმედებას ასპარეზს უქმნის იგი, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს, ანუ შემოქმედების თავისუფლება არსებობდეს. თავისუფლების პირობები შემოქმედებას მასობრიობისა და მაქსიმალური ეფექტიანობის გამოვლენის არენას უფართოებს (ადეკვატურობის შემთხვევაში), რომლის კუმულატური რეზულტატია ცხოვრების გაუმჯობესება.

ამდენად, მოსახლეობის კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია კაპიტალის, მეწარმეობრივი უნარიანობისა და ეკონომიკური პირობების და არა მარტო ეკონომიკურის, ურთიერთშესაბამისობა და ურთიერთგანსაღვრულობა, ანუ როგორ აიძულებენ ისინი ერთმანეთს შეიცვალონ იმ იძულებითა და ზეწოლით, რომელიც თითიეულ მათგანში გაჩნდება, როგორც უფრო ხელდაყრელი და სასარგებლო შემოქმედებითი აქტივობის გაფართოებისათვის.

ანალიზური ნაწილი

1. ქუთაისს მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეები აქვს, მითუმეტეს თუ მას იმერეთის მასშტაბით განვიხილავთ. მას გააჩნია აგრეთვე განვითარებული ინფრასტრუქტურა (სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო გზები; განათლების ინსტიტუცია, ჯანდაცვის ფართო ქსელი; კომუნიკაციების სისტემა და ა. შ.), ფლობს ფიზიკურ კაპიტალს, რასაც ინვესტიციური უზრუნველყოფა აკლია.

2. ქალაქის მეწრამეობრივი უნარი სუსტია. მართალია ის უფრო მეტად პოტენციალუნარიანია მის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით, ვინაიდან ეკონომიკურად მორცხვია, თანამედროვეობის ადეკვატური ცოდნა აკლია. მეწრამეობრივი დეფიციტის პირობებში კი ინვესტორები, ბუნებრივია, მეტისმეტად თავშეკავებულები არიან.

3. შემოქმედების პირობებს ხალხი ვერ შექმნის, ისევე "როგორც ხალხი თავისთავს ვერ მართავს" (კარლ პოპერი). აქ უნდა გავარჩიოთ პირობები, რომლებიც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, მაგალითად საგადასახადო სისტემა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მეწარმეობრივი თავისუფლება, საკუთრების უფლება, და ადგილობრივი პირობები, რომლებშიც იგულისხმება ქალაქის მოსახლეობის აქტივიზაცია, შემოქმედებითი უნარის გაფართოება, ადგილობრივი უპირატესობების გამოყენება და სხვა. ახლა ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკას მასობრიობის ხასიათს მისცემდა.

4. ხალხი ხელისუფლების მხრიდან კეთილდღეობის მიწოდების (შემოქმედების) მოლოდინშია. მასობრივი პრეტენზიები სახელმწიფოებრივ პატრონობაზე ხალხის თვითრეალიზაციის უნარის დეფიციტზე მეტყველებს (ხელისუფლების დონე-ზნეობრივიცა და ინტელექტუალურიც, იშვიათად ყოფილა საშუალოზე მაღალი, ხშირად უფრო დაბალიც იყო-კარლ პოპერი). ხალხი თვითონ ქმნის ხელისუფლებას (არა პირიქით) და ეს სადაც ასე იყო, მოსახლეობაც შემოქმედებით იყო დაკავებული. ასეა დღესაც-განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების მაღალი დონე არის შენარჩუნებული ხალხის თვითინიციატივის მიზეზით. ამდენად, ხალხი და ხელისუფლება ერთიანობაა და მთლიანობაში სისტემას ქმნიან.

5. "ადამაინი ვერ იქნება თავისუფალი, თუ თავისუფლებაში არ აღზრდილა". თავისუფლების გარეშე არ არის თვითშემოქმედება. ამის გამო ეხსნება ასპარეზი კორუფციას, სიდუხჭირეს, არაკომპეტენტურ ხელისუფლებას. შედეგი ისაა, რომ ქვეყანა ხელისუფლების და დანარჩენი მოსახლეობის ნახევარსფეროებად არის გაყოფილი.

6. საქართველოში ხელისუფლება ზემოდან მოვიდა. წესით ხელისუფლებაში უქონელნი არ უნდა მოვიდნენ, ვერ უნდა მოვიდნენ, მაგრამ რაკი სხვა ალტერნატივა ჩვენში არ აღმოჩნდა, ხელისუფლება ხელისუფალთათვის გამდიდრების საშუალება გახდა, რისი არაპირდაპირი გამოვლენაა ლამის თავაწყვეტილი მარათონი ხელისუფლებრივ თანამდებობებზე მოსახვედრად. ამას უკვე ცხადი ინფორმაციული გამჭირვალობა აქვს.

7. ჩვენში ხალხი არის ხელისუფლების გამდიდრების საშუალება. ამას, ერთის მხრივ, განაპირობებს მუშახელის სიიაფე, მეორეს მხრივ,-ეროვნული სიმდიდრისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, მესამე-მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საზღვარგარეთ იაფი მუშახელის წყაროებად გადინება, მეოთხე-ინტელექტუალური რესურსების სწრაფი დაქვეითება.

8. პრივილეგირებული ფენები ითვისებენ, იხვეჭენ ყველაფერს, იშენებენ უზარმაზარ სასახლეებს. როცა ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქისა თუ რაიონის აღმშენებლობის პასუხისმგებლობა არსებობს და ამ დროს დღე და ღამის თენება საკუთარი სახლების მშენებლობაზე იხარჯება, ხელისუფლება უბედური ხდება. ეს ისტორიული გამოცდილებაა, მაგრამ "ისტორიისაგან ყველაზე ცუდად პოლიტიკოსები სწავლობენ".

9. ხელისუფლებისა და ხალხის მთლიანობის წარმოქმნა ნაციონალურ ენერგიაზე არის დამოკიდებული, იმ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრების შინაარსი შემოქმედებითი შრომისადმი მისწრაფებაზეა დაფუძნებული. ასეთი უმაღლესი აზროვნება არის უნარიანი იტვირთოს პასუხისმგებლობა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მოწყობისათვის ნაციონალური უპირატესობის ბაზაზე. ამჟამად ამ საქმეში გამორჩეულად მეწინაობენ კულტურისა და ხელოვნების შემოქმედნი, რასაც ვერ ვიტყვით ეკონომისტების მიმართ. ესეც ის ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ საზოგადოებას არ ემჩნევა ეკონომიკური აზროვნების ინოვაცია, მენტალური შეხედულებების ცვლილებები, რომლის ინტეგრალური გამოხატულებაა დასაქმების დაბალი დონე, სპეკულაციური საქმიანობის წინსწრება მეწარმეობრივ შემოქმედებასთან შედარებით.

10. მძიმე სოციალურ მემკვიდრეობად რჩება ინტელექტუალურ პროფესიებს ამოფარებულთა ჩვეულებების ხელისუფლება ხელისუფლებასთან მიმართებაში. იქმნება საშუალო ნიჭის ინდივიდთა ჯგუფები, რომლებიც ახერხებენ ხელისუფლებისადმი ვიწროკლანური ინტერესების თავმოხვევას, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ფრონტალურობას ვიწრო სოციალური ჯგუფების უპირატესობებად აქცევენ. ასე ყალიბდება მოსახლეობის უნდობლობითი განწყობილება საბაზრო ეკონომიკისადმი. ეს ახალი შეძენილი ტრადიცია არა არის (მოსახლეობის ზნეობრივი ნაკლოვანებები შემდეგში მდგომარეობს: შარიანობა, ცრუ დასმენების, საჩივრების, ურთიერთდადანაშაულებათა გზით. ქუთაისის საგუბერნიო მიმოხილავა 1990 წ.).

11. მთლიანად ქვეყანას და მით უფრო ქუთაისს საბაზრო ეკონომიკის მოწყობა დამოუკიდებლად არ შეუძლია არა მარტო ფინანსური რესურსების სიძნელეების გამო, არამედ მეწარმეობრივი უნარის დეფიციტის მიზეზითაც.. აქ ვგულისხმობ როგორც ხელისუფლებრივ არაკომპეტენტურობას, ასევე არაეკონომიკურ ფაქტორებსაც, რომლებიც არც თუ იშვიათად გადამწყვეტ როლს თამაშობენ მოსახლეობის აქტივიზაციაში.

12. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტები, მართალია, მოწყობილია, მაგრამ ამ სტრუქტურებში სჭარბობს ანტისოციალური ხასიათის მონოპოლიები, მცირე ჯგუფების ინტერესები (მცირე ჯგუფების ინტერესები საშიშია-ლუდვიგ ერჰარდი), რომელთა დაძლევა მხოლოდ ეკონომიკის გაფართოებული წესრიგის პირობებში არის შესაძლებელი.

13. ეკონომიკური წარმატებების იმპულსია ცოდნა, რასაც საქმიანობაში ნების გამოვლენა აქვს (ფრანგებს უფრო მეტად სჯეროდათ, ვიჰაიდან ცოდნა არ ჰყოფნიდათ-ჰენრი ბოკლი). ცოდნის გავრცელება სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება, რომელშიც ცოდნაზე მოთხოვნაც იგულისხმება. მიტაცების ტენდენციამ ცოდნას ფსევდო ხასიათი მიანიჭა. ეს პროცესი სწრაფად უნდა დაიძლიოს, ვინაიდან სოციალურად საშიშია და მით უფრო მასშტაბური და ძლიერი ზეგავლენისა იქნება, რაც უფრო გრძელი აღმოჩნდება ცოდნის დევალვაციის პერიოდი.

დასკვნითი ნაწილი

- ადგილობრივი სახელისუფლო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე, რომლის საფუძველი უნდა იყოს კონკურსები იმ პროგრამებისა, რომლებიც ქალაქის ეკონომიკური პრობლემების მიზნობრივი გადაწყვეტაააა.
- სახელისუფლო სამსახურებისთვის სავალდებულო უნდა გახდეს სპეციალური პროგრამების ათვისება პოლიტიკის, ეკონომიკის, იურისპრუდენციის, სოციალური დისციპლინების

მიხედვით. ამით არა მარტო მოსამსახურეთა პროფესიული დონე ამაღლდება, არამედ ის საქმეც დაიდებს სათავეს, რასაც ახალგაზრდობის სწავლისადმი დაინტერესების გაზრდა ჰქვია.

- პროგრამული დაფინასების ბაზაზე უნდა დამუშავდეს ადგილობრივი უპირატესობების მეცნიერული კვლევ-ძიება და მათი შესაძლო გამოყენების ტექნოლოგიები.
- საინსტიტუტო უზრუნველყოფა უნდა ჰქონდეს ბიზნესის აღორძინებას, რომლის საფუძველი იქნება მძლავრი ტექნიკური ბაზა, მდიდარი საინფორმაციო ცენტრი და კვალიფიციური საკონსულტაციო ჯგუფი, რომელთა საშუალებით არა მარტო ბიზნესის თეორიული სწავლება იქნება შესაძლებელი, არამედ ბიზნეს-წინადადებების რეალიზაციაც მოსახლეობის ფარტო მასების მონაწილეობით.
- ეკონომიკური აზროვნების ამაღლებაში, შემოქმედებითი ფრონტიდ გაფართოებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკული შეფასების პრაქტიკა სამეცნიერო პუბლიკაციების მეშვეობით, აგრეთვე დისკუსიები და ღია გადაცემები მასმედიის გამოყენებით. მათი ზემოქმედება არსებითად ხელს შეუწყობს აგრეთვე მოძველებული ტრადიციული ზნე-ჩვეულებების დაძლევას, რომლებიც თვითშემოქმედებითი საქმიანობის საკმაოდ ძლიერ მუხრუჭებს წარმოადგენს.
- საბაზრო ეკონომიკის პრინციპების (საკუთრების, მეწარმეობის არჩევანის, კონკურენციის თავისუფლება) ადეკვატურ პირობებში (კანონი, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მეწარმეობრივი და სამომხმარებლო უფლებები) რეალიზაცია (ეკონომიკის ფუნქციონირება) არის ცოდნის სამერთიანი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა ეკონომიკის, როგორც მთლიანი კომპლექსის, ფუნქციონირების საშუალებას იძლევა.

რეზიუმე: საბაზრო ეკონომიკა თვითორგანიზებადი სისტემაა სახელმწიფო საგადასახადო რეგულირების ინსტიტუტებთან თანამშრომლობაში. მისი ფუნქციონალური ეფექტიანობა განათლებაზეა ბაზირებული, რომლის ძალური ენერგია სახელმწიფო ხელშეწყობიდან გენერირდება.

Рамаз Намичеишвили, президент научного общества "Нико Николадзе"

Основные прицепы экономического и социального преобразования в Кутаиси

Человек как проводник морально-нравственных провозглашений высшего разума объязань быть преобразителем существующего социального и экономического порядка. Для этого в отношении Кутаиси имеются все условия природного и человеческого обеспечения. Однако не хватает главного-предпринимательской способности активной части населения. Правда, в том, что природные ресурсы у нас всегда рассматривали как божественное дарование, достаточные для жизнеобеспечения. Однако как раз пора время отрезвится от самоудовлетворения. Да, на протяжении долгих столетий, природное ресурсы были главными факторами самовиживания. В настоящее время к ряду природных преимуществ прибавились еще фронтальные системы инфраструктурных институтов, но они подобно природных преимуществ, в настоящее время само по себе не эффективны. Имеются в виду вековые тенденции населения к образованию, природние географические положения, широкоразвитая сеть всех систем транспортных, образовательных, производственных и здровоохренных коммуникаций. Богатство как природное дарование маловажно, если не хватает главое-качественное преобразование этих потенциальных возможностей в современной предпринимательской способности населения. Исхдия этой недостатки наши городские природние и искусственные преимещества уже попадают в сферу интересов зарубежных клановых образований ограниченного круга людей.

Реализация вышеотмеченных потенциальных возможностей города выходит на платформу сотрудничества городского руководства, ученых, специалистов из разных отраслей и населения, экономическое мышление которого оно, должно быть, изменить в кратчайшие сроки.

Ramaz Namicheishvili, President of Niko Nikoladze Learned Society

Basic Economic and Social Transformation Principles in Kutaisi

A man, a conductor of moral and ethical proclamation of the high intelligence, is to be a creator of existing social and economic balance. There are all conditions for natural and human resources provision in Kutaisi. However, there is not enough entrepreneurial capacity among the active part of population. Actually, natural resources have been considered to be a charisma enough for life support. Yet, it is time to wake up from self-satisfaction. Throughout the centuries natural resources were the main means of self-survival. Nowadays, frontal systems of infrastructural institutions are added to a number of natural benefits. But the former is not as effective as the natural ones, namely century tendencies of population

towards education, natural geographical position, widespread network of transport, education, industrial and health protection systems are meant. The wealth as a charisma is of low importance if there is not adequate high-quality transformation of these potential abilities via entrepreneurial capacity of modern population. Judging from these drawbacks the natural and scientific city advantages fall in the sphere of interests of foreign clans formed by a certain circle of society. Realization of above-mentioned city abilities is closely linked to the platform of cooperation of city authorities, scientists, specialists from different fields and population the economic thinking of which is to be changed in the shortest period of time.

თინათინ გუგეშაშვილი

აწსუ ასოცირებული პროფესორი

მეწარმეობა, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი

მეწარმეობა და პოლიტიკა

მეწარმეობა სულაც არ არის უკანასკნელი ასწლეულის ფენომენი. იგი წარმოიშვა თითქმის გაცვლის ურთიერთობებთან ერთად. მხოლოდ მეწარმეობის ფორმები, მისი ფასეულობები, დამოკიდებულება კულტურასთან ყოველთვის განპირობებული იყო კონკრეტული ისტორიული სიტუაციით, საზოგადოების განვითარების ყველა ფაქტორების ურთიერთობების შედეგებით.

ამ წერილში, შევეცდებით განვიხილოთ არა ყველა ის ძირითადი ფაქტორი და მათი ურთიერთობა მეწარმეობასთან კავშირში, არამედ მხოლოდ მეწარმოება და პოლიტიკა, როგორც ურთიერთობის აქტუალური ფორმა.

Gოლიტიკა უპირველესად ეს არის სახელმწიფოს მართვის საქმიანობა, შემდგომ ურთიერთობების სისტემა, როგორც უზენაესი ხელისუფლება ქვეყანაში. როგორც საზოგადოების უმაღლესი ორგანიზაციული საწყისი პოლიტიკა არ შეიძლება არ შეეჯახოს ერთ-ერთ შემოქმედებით საწყისს - მეწარმეობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა და მეწარმეობა განსაკუთრებით მჭიდროდ გადაიკვეთებიან, ისინი ერთმანეთში არ უნდა აურიოთ.

აქ ჩვენ შემოვიფარგლებით მეწარმოების ეკონომიკური სფეროებით, რაც აგრეთვე დამახასიათებელია პოლიტიკისთვისაც. პრესაში ბევრს საუბრობენ “პოლიტიკურ მეწარმეობაზე", პოლიტიკოსების ლობირებაზე.

პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ საქმიანობასთან და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან იმავდროულად დამოკიდებულების მაღალი ხარისხითაც გამოირჩევა.

დღეისათვის, როგორც ადრე, პოლიტიკური ფაქტორი თამაშობს მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირებაში. იმავრდოულად პოლიტიკური განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის კულტურულად და ეკონომიკურად განვითარებას, რის გამოც პრობლემების უმეტესობა რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას ატარებს პოლიტიკურ ხასიათს.

რამდენადაც თვალსაჩინო არ უნდა იყოს პოლიტიკისა და მეწარმეობის სხვაობა, ისინი მაინც იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ წარმოიშობა რიგი პრობლემები.

პირველი, შეიძლება თუ არა ლობირება ჩაითვალოს მეწარმეობის სახეობად. ლობები სპეციალიზდებიან იმაზე, რომ ასე თუ ისე ზემოქმედებნ პოლიტიკოსებზე, რომლებზედაც მეწარმეობის გარკვეული წრისათვის განახორციელებენ მათ ინტერესებს. მოკლედ რომ ვთქვათ ლობები გვევლინებიან, როგორც მეწარმეთა მიერ დაქირავებული მუშაკები. ამდენად ლობირება არც შეიძლება ჩაითვალოს მეწარმოების სახეობად.

მეორე, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სახელმწიფო მეწარმოების სუბიექტად? პრინციპში მეწარმოება არ ითვლება ინდივიდის პრეროგატივად: ადამიანთა ჯგუფი, მათი საზოგადოება, ამა თუ იმ პრინციპზე დაფუძნებული კორპორაცია - ყველა ესენი შეიძლება იყვნენ მეწარმოების სუბიექტები. სიტყვათა შეთანხმება: "საზოგადოებრივი მეწარმეობა", "სახელმწიფო მეწარმეობა" ხშირად იხმარება მას-მედიის მიერ და მეცნიერული ლიტერატურის ტერმინოლოგიაში. ამას გარდა, არ შეიძლება უარვყოთ, რომ სახელმწიფო ატარებს განსაზღვრულ მეწარმეობრივ პოლიტიკას, ანუ საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ზომებით ერევა სახელმწიფო საქმიანობაში. იმავდროულად სახელმწიფო მიზნები ყოველთვის არ ემთხვევა მეწარმეობის მიზნებს. როგორც მეწარმოება, სახელმწიფო ხელისუფლება მოწოდებულია თავი მოუყაროს ხალხის ძალას სტაბილური შემოსავლის და ყოველგვარი სიკეთის განაწილებისას.

მესამე, შეიძლება თუ არა პოლიტიკური საქმიანობა ჩაითვალოს მეწარმოებად უმაღლესი ხელისუფლების სფეროში? მართლაც, პოლიტიკოსმა, რომ მიაღწიოს წარმატებულ კარიერას უნდა ქონდეს იგივე თვისებები, რაც აუცილებელია მეწარმისათვის. ხშირად საუბრობენ პოლიტიკურ ავანტიურიზმზე, პოლიტიკოსის ორგანიზატორულ როლზე ცივილიზაციის მშენებლობის საქმეში, პოლიტიკოსის გამომგონებლობაზე და მოხერხებულობაზე.

ამ ინტერპრეტაციით შეიძლება ვილაპარაკოთ არა მარტო პოლიტიკურ მეწარმოებაზე, არამედ მეწარმეობაზე, როგორც გლობალურ ფენომენზე. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ავტორი ნაპოლეონ ჰილლი თავის გახმაურებულ წიგნში "იფიქრე და გამდიდრდი", წარმატებული მეწარმეების მაგალითად მოჰყავს (ქრისტიანისათვის რაც არ უნდა მკრეხელური იყოს)[13], იესო ქრისტე და მუჰამედი. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს რა მიზნებისათვის იღწვოდნენ, რა სფეროში ანხორციელებდნენ ისინი თავიანთ აქტივობას. მისთვის მთავარია, რომ მათი მიზნები იყო აბსოლლუტურად ახალი და თითქმის მიუღწევადი; მიუხედავად ამისა გამოავლინეს არაადამიანური ჟინი მიზნის მისაღწევად. იქამდეც, რომ ცნობილი ფანტასტი ჰერბერტ უელსი, რომელმაც მოიგონა დროის მანქანა, ადამიანი-უჩინმაჩინი და მრავალი სხვა, აღიარა ლენინის პროექტების უპირატესობა თავის ლიტერატურული იდეების წინაშე. ჰილსს არ უყვარს კომუნისტები, იმიტომ, რომ მათ არ უყვართ კაპიტალი, აყენებს რა მათ რეკეტიორების და გამყიდველი პოლიტიკოსების რიგში. მაგრამ, საქმეც იმაშია, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსს პრინციპში არ შეუძლია უყვარდეს კაპიტალი. იმიტომ რომ, კაპიტალი ითვლება იმ ძალაუფლების დამოუკიდებლობის საფუძვლად, რომელიც არ შედის პოლიტიკოსის გავლენის სფეროში. პოლიტიკოსებსაც შეიძლება ვუწოდოთ გარკვეულწილად მეწარმეები: ისინი იწყებენ "კიბის" პირველი საფეხურიდან და "მიიწევენ" წინ და ბოლოს ხდებიან ყველაფერი იმის "მფლობელები", რაც სინამდვილეში მათ არ ეკუთვნით.

ჰიტლერი, ღატაკი მხატვარი დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში და შურით ათვალიერებდა მის სიმდიდრეს, ხოლო სულ რაღაც ათი წლის შემდეგ იგი შევიდა იქ, როგორც სრული მფლობელი. როგორი ბრწყინვალე დემონსტრაციაა ადამიანური მიზნის მიღწევის, მისი პოზიტიური აზროვნებისა, რა თქმა უნდა თუ მივსდევთ ნაპოლეონ ჰილის ლოგიკას.

[13] fdnjhbc itybidyf

სხვაობა მეწარმეებსა და პოლიტიკოსებს შორის, მიზნის მიღწევის პრინციპებში კი არ მდგომარეობს მხოლოდ, რამდენადაც მათი აქტივობის სფეროს ორგანიზაციის პრინციპებში. პოლიტიკა ეფუძნება უშუალოდ იძულებას, ე.ი. ძალმომრეობას, მაშინ როცა ეკონომიკა ეფუძნება იძულებას, რაც მოხმარებისა და შრომის აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

თუ მკაფიოდ გავმიჯნავთ სახელმწიფოს მეწარმეობისაგან, მაშინ დგება ურთიერთობის პრობლემა მეწერმეებისა სახელმწიფოსთან, როგორც რაღაც გარეშესთან, ე.ი. ისეთთან რამაც შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეუშალოს მეწარმეს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მეწარმის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან ამბივალენტურია, ე.ი. მეწარმე, ერთის მხრივ განიცდის სახელმწიფოს საჭიროებას, როგორც თავის საქმისა და მასთან დაკავშირებული კავშირების გარანტიას და მეორეს მხრივ - ცდილობს განთავისუფლდეს სახელმწიფოსგან, მისი შეზღუდვებისაგან, კონტროლისაგან და გადასახადებისაგან.

ამგვარად, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მეწარმესა სახელმწიფოსთან უწყვეტად მერყეობს ანარქიზმიდან (სახელმწიფოს უარყოფა) ეტატიზმამდე, როგორც, საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი. შესაძლებელია თუ არა ამ წინააღმდეგობიდან კომპრომისული გამოსავალი? ასეთ გამოსავლად გვევლინება “პორნოკრატიის" კონცეფცია, იგი პირველად ძველ ჩინეთში და ანტიკურ საბერძნეთში ჩამოყალიბდა. ამ კონცეფციის საფუძვლად სახელმწიფო უპირობოდ გვევლინება ბოროტებად, მხოლოდ აუცილებელ ბოროტებად.

არ არსებობს იმაზე მეტი საშინელება, ვიდრე ცხვირი ჩაყო სხვის საქმეებში. სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც თავისუფალი თავისი ძალაუფლებით “მიძვრება" სხვის საქმეებში - არის ბოროტება. მაგრამ რამდენადაც სახელმწიფო აუცილებელია, იმდენად ხელისუფლება არის ბოროტება გარდაუვალი.

ხელისუფალი - უკვე არაპატიოსანი ადამიანია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვალდებული ვართ დავემორჩილოთ მას მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ის ყოველთვის უნდა იყოს ზიზღის საგანი. ყოველი ხელისუფალი - ძალზე საშიში პოტენციური დამნაშავეა.

თუ ადამიანებმა იციან, რომ ხელისუფლება მისცეს ყველაზე უსინდისოს, ისინი ყოველთვის შეეცდებ იან მისი თავნებობისაგან დაიცვან თავი და შეკვეცონ მისი უფლებები.

ხელისუფალს მადლობა მისი დამსახურებისათვის შეიძლება მიუძღვნათ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ და იცის რა ეს ხელისუფალმა, ცდილობს დაგვეხმაროს რათა დაიკმაყოფილოს თავისი პატივმოყვარეობა.

თვალყური ადევნეთ ხელისუფალთ, გამოამჟღავნოთ ისინი, მხოლოდ დაემორჩილოთ მათ იმ ვადებში, რომელთაც ისინი აირჩიეთ. არ შეიძლება ისინი ვაქოთ და “გამოვკვებოთ" თორემ ისინი მიიღებენ ისეთ სახეს თითქოს და ზრუნავენ არა მხოლოდ თავიანთ თავზე.

ისინი არ არიან ჩვენი სიმბოლოები - ქვეყანა უყვართ თავისიანებს და აფასებენ მას სხვები არა ხელისუფალთა გამო. სახელმწიფო - არ არის სიამაყის საგანი, და სულაც არ არის ქვეყანა.

ზემოთ მოყვანილი კონცეფცია, რა თქმა უნდა არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აბსოლუტურ მოდელად სადაც ხელისუფლებისადმი და სახელმწიფოსადმი პატივისცემა ტრადიციულად მოგვყვება. მაგრამ საქართველოს

ხელისუფალთა მიერ ჩადენილი მავნებლობები და ცოდვები, ცნობილია საქართველოს ფართო მოსახლეობისათვის. ეს ფაქტი, აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების (ეტატიზმი და ანარქიზმი) ორი უკიდურესობა, ხელს უწყობს ჩვენი დოქტრინის ნაწილობრივ ათვისებას. მით უმეტეს, რომ მეწარმეებს გამომდინარე მათი მდგომარეობიდან და ხასიათიდან ახასიათებთ ხელისუფლებასთან "ცინიკური" დამოკიდებულება - როგორც "არაკეთილსინდისიერ კონკურენტთან".

იმავდროულად, პოლიტიკა და მეწარმეობა გაერთიანებულია იმით, რომ მათი შინაგანი კანონები არ ქმნიან თავიანთი რესურსებისათვის ზნეობრივ გარემოს. ამიტომაც ისინი ასე თავისუფლად იკვეთებიან ერთმანეთში.

Tinatin Gugeshashvili
Associated professor of ATSU

Proprietorship and Politics

Abstract

Proprietorship is not a phenomenon of the last centuries. It was born in accordance with the developing exchange relationships. Proprietorship forms and the relationship with culture was always conditioned by a concrete historical situation. Here we consider economic field of proprietorship that is also characteristic to politics. Political activities that are closely linked to economic activities and other fields of social life is featured by the high level of the independence at the same time. Despite the high amount of difference between politics and proprietorship they are still in close connection and derive some problems. For example: Can lobby be considered as one form of the proprietorship? Can the state be considered as a subject of the proprietorship? Can political activity be considered as a proprietorship of government? Can we find the compromising solution from this problem? We can find 'Pornocracy' conception as the way out.

Above-mentioned conception can be considered as the absolute model of the modern political and social life where the respect to the government traditionally exists. Therefore politics and economics are closely interrelated.

Тинатин Гугешашвили
Асоцированный професор ГУАЦ

Предпринимательство и политика

Резюме

Политика есть, во-первых, деятельность по управлению государством, во-вторых, система отношений по поводу верховной власти в стране. Политическая деятельность, будучи весьма тесно связанной с деятельностью экономической и другими сферами общественной жизни, обладает, вместе с тем, значительной степенью самостоятельности.

Во-первых, можно ли считать лоббирование видом предпринимательства? Лобби специализируются на том, что так или иначе оказывают давление на политиков, чтобы те способствовали осуществлению интересов представляемого ими круга предпринимателей.

Государство при определенных исторических условиях может выступать как предприниматель, однако предпринимательство по существу не только не являеся атрибутом государства, но должно считаться его случайной, преходящей и в известном смысле патологической (девиантной) функцией, свидетельствующей о глубоком социально-экономическом кризисе. Различие между предпринимателем и политиком состоит не только в принципах достожения целей, сколько в принципах организации сферы их активности.

Таким образом, противоречивое отношение предпринимателя к государству непрерывно колеблется от анархизма (отрицания государства) до этатизма (признания государства как важнейшего фактора общественной жизни).

ვაჟა გურაბანიძე-ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის
უნივერსიტეტისა და აკ. წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საინოვაციო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

საინოვაციო სტრატეგიის განსაზღვრის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს ფირმის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა და მისი საბაზრო სტრატეგია.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ძირითადი ელემენტებია:

-პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე ტენდენციების გამოვლენა და პროგნოზირება;

-სამამულო და საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების გამოვლენა;

-ინოვაციათა სტრუქტურული ანალიზი;

-პუბლიკაციათა აქტიურობის შესწავლა;

-პატენტების შესწავლა;

-მაჩვენებელთა ანალიზი.

სქემა 1-ზე წარმოდგენილია პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დიაგრამა. როგორც დიაგრამიდან ჩანს, სასიცოცხლო ციკლს აქვს სათანადო სტადიები. წინასაწარმოო სტადია მოიცავს სამეცნიერო-საკვლევ, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს და წარმოების ტექნოლოგიურ მომზადებას. შემდეგი სტადია პროდუქციის ათვისება და წარმოების ზრდაა. მნიშვნელოვანი სტადიაა ნაკეთობის სიმწიფე, როდესაც წარმოების მოცულობა მიაღწევს ოპტიმალურ მნიშვნელობას და მისი გამოშვება სტაბილურდება. ბოლო სტადია წარმოების ვარდნა და ნაკეთობის წარმოების შეწყვეტაა ამიტომ, ნაკეთობის სიმწიფის პერიოდში უნდა მომზადდეს აუცილებელი წინასაწარმოო სტადია და მიღებული იქნეს გადაწყვეტილება თუ რა დროს უნდა დაიწყოს წარმოების ტექნოლოგიური მომზადება ახალი ნაკეთობის ათვისებისათვის. ამიტომ, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა საჭიროებს პროდუქციის განვითარების ტენდენციების პროგნოზირებას სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე და გადაწყვეტილების მიღებას, თუ როდის არის აუცილებელი ახალი პროდუქციის ათვისება. ამისათვის აუცილებელია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სამამულო და მსოფლიო ტენდეციებისადმი თვალყურის დევნება, საინფორმაციო ნაკადების მოპოვება და მისი ანალიზი.

არსებობს საინფორმაციო ნაკადების ანალიზის შემდეგი მეთოდები.

საპატენტო დოკუმენტების შესწავლა-იძლევა საშუალებას დადგინდეს რა სიახლეებია დაპატენტებული საინტერესო დარგებში;

სქემა 1. ნაკეთობის სასიცოცხლო ციკლის დიაგრამა

პუბლიკაციათა აქტიურობის განსაზღვრა-იძლევა დაკვირების საშუალება, რათა დადგინდეს სასიცოცხლო ციკლის რომელ ეტაპზეა პროდუქტი;

მაჩვენებელთა ანალიზი-ტექნიკურ მაჩვენებელთა დინამიკურ ცვლილებებზე დაკვირვება იძლევა შეხედულების ჩამოყალიბებას გარკვეულ ტენდენციებზე.

საინივოციო პროექტებს ფირმაში ახორციელებს საინოვაციო მენეჯერი, რომელსაც საქმე აქვს საინოვაციო პროცესის სხვადასხვა ფაზასთან და შესაბამისად გეგმავს თავის საქმიანობას. მისი მთავარი მიზანია შეამციროს ფირმის სიცოცხლისუნარიანობის რისკი და თანამშრომლობისათვის შექმნას სათანადო პირობები.

საინოვაციო მენეჯერი კარგად უნდა იყოს გარკვეული მყიდველის ინტერესების სპეციფიკაში, საბაზრო სიტუაციაში და სწორად შეაფასოს შესაძლო კრიზისები და მოამზადოს წინადადებები მათი თავიდან ასაცილებლად. ყოველივე ეს აისახება მის საბაზო სტრატეგიაში.

საინოვაციო მენეჯმენტის ეფექტიანი წარმართვისას გადამწყვეტი ფაქტორებია:

მართვის ტექნოლოგიის სრულყოფა, პროგრესული ტექნოლოგიის შერჩევა, მისი კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება. საინოვაციო პროექტის შეფასებიათვის აუცილებელია გადაწყვეტილების მიმღები პირის უზრუნველყოფა ინფორმაციის, რათა მან მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ინვესტირების განხორციელებისათვის. საერთაშორსო პრაქტიკაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პროექტის კომერციული შეფასება (ცომმერციალ ევალიატიონ) ანუ საფინანსო-ეკონომიკური შეფასება. აღნიშნული შეფასება. აღნიშნული შეფასების სტანდარტული მიდგომის გამომუშავებისათვის მრეწველობის განვითარების საერთაშორისო

ორგანიზაციასთან არსებულმა სამრეწველო გამოკვლევათა ცენტრმა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაამუშავა სახელმძღვანელო სათაურით "პროექტების შეფასებისათვის". ამ სახელმძღვანელოამ მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკულ საქმიანობაში, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახლად წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოსათვის.

სახელმძღვანელოში ძირითადად შემოთავაზებულია ორი კრიტერიუმი: საფინანსო შესაძლებლობა (საფინანსო-შეფასება) და ინვესტიციების ეფექტიანობა (ეკონომიკური შეფასება). ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია აღნიშნული კრიტერიუმების შეფასების მეთოდები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საფინანსო შეფასება ეფუძნება ანგარიშების სამ ფორმას:

-მოგების ანგარიშს (პროტიფ სტატემენტ);

-ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს (ფინანციალ ცასჰ ფლოწ პლანინგ);

-საბალანსო ანგარიშს (ბალანცე სჰეეტ)

მოგების ანგარიშის შესადგენად აუცილებელია რეალიზაციიდან ამონაგების გაანგარიშება (სალეს რევენუეს), პროდუქციის თვითღირებულება (ცოსტ ოფ სალეს) განსაზღვრა და ზოგიერთი სხვა გაანგარიშებები, რომლებიც თან ახლავს აღნიშნულ ანგარიშებს.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში მნიშვნელოვანი ფორმაა საინოვაციო პროექტის შეფასებისათვის. ამგვარი ანგარიშის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ცნებები "შემოსავლები" და "ხარჯები", რომლებიც გამოიყენება მოგების ანგარიშის შედგენისას, არ ასახავს ფულადი სახსრების ნამდვილ მოძრაობას. ამასთან, მოგების ანგარიშში არ არის ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის გარდა ისეთ საქმიანობაზე, როგორც საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობაა. ამიტომ, მოგების არსებობა არ წარმოადგენს საინოვაციო პროექტის წარმატებული რეალიზაციის ერთადერთ კრიტერიუმს.

ფულადი სახსრების გამოყენების ძირითადი მიმართულებებია ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, ხარჯები მიმდინარე საწარმოო საქმიანობაში, საგარეო ვალების მომსახურება, ანგარიშგება ბიუჯეტთან და დივიდენდების გადახდა.

საბალანსო ანგარიში წარმოადგენს ტრადიციულ საბუღალტრო ანგარიშს. იგი გამოიყენება პროექტის ქონების სტრუქტურის და ფინანსების წყაროების ცვლილებების დასადგენად.

საფინანსო შეფასების საბაზრო ფორმებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება გაანგარიშებული იქნას მრავალი კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად კატეგორიად: რენტაბელურობის მაჩვენებლები, ინვესტიციების გამოყენების შეფასება და საფინანსო მდგომარეობის შეფასება.

მაგალითისათვის რენტაბელობის მაჩვენებლები შეიძლება გაანგარიშებული იქნას შემდეგი კოეფიციენტებით:

$$\frac{\text{სუფთა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}}\ ;\quad \frac{\text{sufTa mogeba}}{\text{Semosavali realizacii dan}}\ ;\quad \frac{\text{თვითგირებულება}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}\ ;$$

საფინანსო მდგომარეობის შეფასება შეიძლება გამოთვლილი იქნეს ასევე შემდეგი კოეფიციენტებით:

მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე პარივებთან, სააქციო კაპიტალის შეფარდება საერთო კაპიტალიდან და ა.შ.

პროექტის ეკონომიკური შეფასება ხდება საბუღალტრო ანუ სტატისტიკური და დისკონტირების მეთოდების გამოყენებით. საბუღალტრო მეთოდებით განისაზღვრება ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა (პაყბაკ პერიოდ), როგორც პირველადი ხარჯების შეფარდება საშუალო წლიურ შემოსავალთან.

სატისტიკური მეთოდების შეფასებისათვის მიღებულია მოგების საანგარიშო ნორმის (Аццоунтинг рატე ოფ რეტურნ) გამოთვლა. იგი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$AROR = \frac{\text{saSualo sabalanso mogebaOweliwadSi}}{\text{pirveladi dabandebul i kapitali}}$$

პროექტის ეკონომიკური შეფასების მეორე ჯგუფია დისკონტირების მეთოდის გამოყენება, რომლის მიხედვით ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენად გააუმჯობესებს პროექტი ინვესტორის ან მესაკუთრის კეთილდღეობას, ანუ მოახდენენ თუ არა სამომავლო შემოსავლები ინვესტიციების კომპენსირებას. ფულის ღირებულების დროის ასპექტს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, ამიტომ შემოთავაზებულია პროექტის სუფთა დაყვანილი ღირებულების განსაზღვრა NPV (NEთ Pრესენტ Vალუე):

NPV= -გაწეული პირველადი ხარჯები+შემოსავლების მიმდინარე ღირებულება. თუ, NPV - დადებითი სიდიდეა, მაშინ პროექტი მისაღებია.

შემოსავლების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება დისკონტირების შემდეგი ფორმულა:

$$PV = \frac{FV}{(1+r)^n}$$

სადაც, FV-ფულადი სახსრების მომავალი ღირებულება;

PV-ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება;

ნ - წლების რაოდენობა;

რ-მოგების ნორმა;

შეფასების მეთოდებს შორის პრაქტიკაში გამოიყენება პროექტის რენტაბელობის განსაზღვრა შემდეგი ფორმულით:

$$\text{proeqtis rentabelob a} = \frac{\text{momavali Semisavlebis mimdinare QRirebuleb a}}{\text{pirveladi danaxarjeb i}}$$

ამდენად, ზემოთმოტანილი კრიტერიუმები ადეკვატურად ახდენს ინოვაციური საქმიანობის კომერციულ ანუ საფინანსო-ეკონომიკურ შეფასებას, რომელიც მენეჯერს საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს ფირმის განვითარების სტრატეგია.

Summary

In the article of Vazha Gurabanidze “Criteria of evaluation of Innovative Project” are discussed methods of evaluation of innovative criteria. Mainly there is offered two criteria: financial ability (financial evaluation) and effectiveness of investments (economical evaluation). Financial evaluation is based upon the following three form of

account: profit account, cash flow account, and balance account. Economical evaluation of the project is done by using of accounting or statistic and discount methods. The accounting methods determine redemption term of investment as ratio of primary expenses to annual income. The second group of economical evaluation of the project is the using of discounting method. This method can establish the level of improvement of prosperity of the investor and the owner by help of the project or if the future incomes compensate the investments.

These criteria adequately make commercial or financial and economical evaluation of the innovative activity, which gives possibility to manager to determine exact strategy of development of the firm.

Резюме

В статье Важи Гурабанидзе «О критериях оценки инновационного проекта» рассмотрены методы оценки инновационных критериев. В основном предложены два критерия: финансовая способность (финансовая оценка) и эффективность инвестиций (экономическая оценка). Финансовая оценка основывается на трёх формах расчёта: расчёт прибыли, расчёт движения денежных средств, балансовый расчёт. Экономическая оценка проекта осуществляется с применением бухгалтерского или статистического и дисконтного метода. Бухгалтерскими методами определяется срок выкупа инвестиций, как соотношение первичных издержек к среднему годовому доходу. Вторая группа экономической оценки проекта - метод применения дисконтирования, посредством которого выясняется, насколько улучшит проект благосостояние инвестора и собственника, или смогут или нет, будущие доходы обеспечить компенсирование инвестиций. Данные критерии адекватно совершают коммерческую или финансово-экономическую оценку инновационной деятельности, позволяющую менеджеру точно определить стратегию развития фирмы.